საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 31 (51) | პარასკევი, 15 თებერვალი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს 13 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე, რომელსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა უძღვებოდა.

პირველ რიგში განიხილეს 1989 წლის 14 აგვისტოს დამტკიცებულ საქართველოს მინისტრთა საბჭოს ინსტრუქციაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის საკითხი. შეგახსენებთ, რომ ეს ინსტრუქცია ეხება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საავტომობილო გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რემონტისა და მოვლისათვის სახსრების გადარიცხვის წესს, ვადებსა და ფორმებს. ცვლილებებით განსაზღვრულია ამ მიზნებისათვის შესატანის ოდენობა. საავტომობილო გზების ფუნქციონირებაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობა, განსაკუთრებით საქართველოში მისი ურთულესი რელიეფის გამო. ამიტომ მათი მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის ფართო მონაწილეობა აუცილებელია.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად წამოაყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ თბილისში გაიხსნას კვიპროსის ფირმა „ენტერპრაიზის პალმის“ წარმომადგენლობა. ეს ფირმა საქმიანობას ეწევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, იუგოსლავიაში, თურქეთში, ეგვიპტეში, ინდონეზიაში. მისი საქმიანობა ეხება ისეთ დარგებს, როგორიც არის მედიცინა, სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, ტურიზმი, ელექტრონიკა, რობოტტექნიკა და ა. შ. პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად ცნო თბილისში გაიხსნას ამ ფირმის წარმომადგენლობა, რათა კიდევ უფრო განვითარდეს საქართველოს რესპუბლიკისა და კვიპროსის პარტნიორული, ფინანსურ-კომერციული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას დაევალა მოახდინოს ფირმის წარმომადგენლობის აკრედიტაცია და ყველა პირობა შეუქმნას მას ნორმალური მოქმედებისათვის.

მეტად კეთილშობილურ მიზნებს ისახავს სამეურნეო ასოციაცია „იმედი“, რომლის წესდება დაამტკიცეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ამ სხდომაზე. ასოციაცია აპირებს მთელი თავისი ძალისხმევა მოახმაროს საქართველოს საკურორტო მეურნეობის კომპლექსური განვითარების, მისი ეკოლოგიური სისუფთავის უზრუნველყოფას. ამით იგი ხელს შეუწყობს შრომითი კოლექტივების წევრების, რესპუბლიკის მოსახლეობის სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის ორგანიზაციას, ამასთან გამოიყენებს კურორტების ბუნებრივ-ფიზიკურ ფაქტორებს, მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევებს. პერსპექტივაში ნავარაუდევია ფართოდ გაიშალოს საკურორტო მშენებლობა, განვითარდეს სამკურნალო ტურიზმი საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, დამზადდეს ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტები, ჩამოისხას და გაიყიდოს მინერალური წყლები და ა. შ.

განიხილეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის რეგისტრაციის საკითხი. თავად ამ ასოციაციის არსებობის ფაქტი უკვე მოწმობს იმ ძირეულ თვისებრივ ძვრებს, რომლებიც ბოლო ხანს მოხდა ადამიანების და უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის შეგნებაში. რადიკალურად შეიცვალა ღირებულებითი ორიენტაცია, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისადმი, ყოველივე იმისადმი ინტერესის გაძლიერება, რაც ეხება ადამიანს, მის შინაგან სამყაროს. ასოციაციამაც თავის მიზნად სწორედ ახალგაზრდებში საზოგადოებრივი მეცნიერებების, კერძოდ, პოლიტოლოგიის პოპულარიზაცია დაისახა მიზნად.

ახლა, როცა ჩვენი ხალხი პირველ ნაბიჯებს დგამს თავისუფლებისა და სახელმწიფო დამოუკიდებლობის გზით, მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ყველას მეცადინეობის გაერთიანება უკვე ნათლად გამოკვეთილი მიზნების მისაღწევად. თუმცა ჩვენ ყველას შეგნებული გვაქვს ამის აუცილებლობა. მაგრამ როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე მომავალი საზოგადოებრივი შენობის კონტურების განსაზღვრისას, სადავოც ბევრი ჩნდება. რა თქმა უნდა, ამაში არაფერია ცუდი, რომ არა სამწუხარო დაპირისპირება არც თუ პრინციპულ საკითხებზე. ამიტომაც აქტუალურია იდეა განმტკიცდეს ქართველი ხალხის სულიერი ერთიანობა, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი, არაპოლიტიკური ორგანიზაციის „რწმენის“ შექმნას. მისი წესდება სარეგისტრაციოდ წარუდგინეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს. ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ყველა ქართველის ეროვნული, სულიერი და ზნეობრივი ერთიანობა პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიუხედავად, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ყველა პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი მიმდინარეობისა და ჯგუფის ურთიერთობაში დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბება.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

(საქინფორმი)

ხელისუფლების დერეფნებში

გაზაფხულს— კეთილი თესლი

ქართული სოფლის აღორძინება მხოლოდ იწყება. ერთ-ერთ ფუძემდებელ აქტად, რომელიც მიზნად ისახავს გარდამავალი პერიოდის პირობებში აგრარული საკითხის გადაწყვეტას, იქცა „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულება“. რესპუბლიკის მთავრობამ იგი მიიღო მისი პირველი გაზაფხულის დადგომის წინ — ქირნახულს კარგი საფუძველი ეყრება.

შემდეგ რა ვიღონოთ? უხვი მოსავალი მოვიწიოთ, სამართლიანად გავანაწილოთ, თავი ვირჩინოთ, ჩავიცვათ და დავიხუროთ — ყოველივე ეს ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ არ კმარა. მოსავალი ავიღოთ ისე, რომ მიწას არა ვავნოთ რა, არ გავანიავოთ დოვლათი — აი, რა არის აუცილებელი პირობა. მაგრამ საკმარისი არ არის მხოლოდ მისი დაცვა, საჭიროა მთავარს მივაღწიოთ: მძიმე, ულიმღამო შრომისაგან გავათავისუფლოთ ადამიანი, შევუქმნათ მას სულიერი სრულყოფის საჭირო პირობები.

სხვებს შორის ამ ზეამოცანის გადაწყვეტის პირდაპირი გზაა ქართული სოფლის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების, ტრადიციების დაუფლება. ეს თვალსაზრისი გასდევს ლაიტმოტივად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩხეიძის საუბარს, რომელსაც უძღვება საქინფორმის კორესპონდენტი ვალერიან ბაბუაძე.

— თქვენი კომისია, ბატონო ირაკლი, ისე ვთქვათ, ახალი ხილია საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. რას წარმოადგენს იგი, ძირითადად რა მიზნებს ისახავდა უზენაესი საბჭოს სესია მისი შექმნით?

— კომისიის ძირითადი მიზნები ლაკონიურად მისსავე დასახელებაშია მოცემული. თუ უფრო ჩავუღრმავდებით კომისიის შინაარსს, წარმოჩნდება ფართო სპექტრი იმ მტკივნეული, ათეულ წლობით დაგროვილი და გადაუწყვეტელი საკითხებისა, რომლებიც ახალ პარლამენტს მემკვიდრეობით დაუტოვა სოფლად საბჭოური მეურნეობრიობის ფორმებმა და რომელთა გადაჭრის კანონქვემდებარე აქტებიც უნდა შეიმუშაოს კომისიამ. ამასთანავე, ახალი ეროვნული პარლამენტის ეს რგოლი კონტროლს გაუწევს მიღებული კანონების რეალიზაციას, რადგან ახლო წარსულში ხშირად ისეთი კანონებიც კი არ სრულდებოდა, რომელთა არსი და შინაარსი პრაქტიკულად ხალხის სურვილებს შეესაბამებოდა. თქვენს შეკითხვაში სრულიად სამართლიანად უწოდებთ ჩვენს კომისიას „ახალ ხილს“, მაგრამ სპექტრი იმ საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტაც კომისიას მოუწევს, იმდენად ძველია, რომ, ანალოგიური ხატოვანი გამოთქმითვე რომ გიპასუხოთ, ბევრად გადაცილებულია „საგვიანო ხილის“ ასაკს. აბა, ვინ არ იცის, რომ საქართველო— მიწათმოქმედების ძველთა ძველი ქვეყანა — ვერ ახერხებს სურსათზე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; ვინ არ იცის ის, რომ სრული განუკითხაობა სუფევს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სფეროში, რაც გარკვეული ძალების გეგმაზომიერი, მიზანდასახული ცდების შედეგად სხვა უბედურებებთან ერთად საქართველოში ეთნოკრიზისების შენელებული მოქმედების ნაღმადაც გადაიქცა; ის, რომ რესპუბლიკა ეკოლოგიური კატასტროფის პირასაა მისული და სხვა.

— ბატონო ირაკლი, ორიოდე სიტყვით გვითხარით, როგორ აფასებთ საერთოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის ახლანდელ მდგომარეობას?

— ორიოდე სიტყვით, როგორც ძალიან ცუდს! შედარებით ვრცლად კი ასე მოგახსენებდით: დღეს საქართველოში სოფლის მეურნეობა იმდენად დაბალ დონეზეა, რომ თუ არა იმედი ქართველი კაცის გამარჯვებისა, ნიჭიერებისა, მიწის სიყვარულისა და სამშობლოს ნათელი მომავლის რწმენისა, შექმნილი მდგომარეობა შეიძლება შეფასებულიყო, როგორც უიმედო. აბა, რომელ სოფლის მეურნეობაზეა ლაპარაკი, როცა სოფელს საკუთარი თავიც კი ვერ ურჩენია, გლეხობა მაღაზიის დახლებზე იძენს ასე უკვალოდ გამქრალ კვერცხს, რძის პროდუქტებს, ხშირად — ბოსტნეულსაც. ხშირად ნახავდით დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში სოფლიდან ჩამოსულ ხალხს, ტომრებით რომ იძენდა სოფლის მეურნეობის პროდუქციას. პირიქით კი უნდა ყოფილიყო. სურსათ-სანოვაგე სოფლიდან გაჰქონდათ ქალაქად. ყოველივე ეს გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის საწარმოთა საქმიანობის ნაკლოვანებებიცაა, მაგრამ თავიდათავი მოშლილი სოფლის მეურნეობაა.

— რაკიღა მდგომარეობა სოფლად კრიზისულია, როგორც იტყვიან, უკან დასახევი გზა აღარა გვაქვს. გვესმის რა დარგის წინაშე წამოჭრილი სირთულეები, ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც კომისიას და პირადად თქვენ, როგორც მის ხელმძღვანელს, გეკისრებათ, გვაინტერესებს, უკვე გაქვთ თუ არა შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ოპტიმალური ვარიანტი, ან, კონცეფცია იმისა, თუ სად უნდა ვეძიოთ მისი განვითარების გზები?

— ასეთი გეგმები რომ არ გვქონდეს, კომისიის საქმიანობას აზრი არ ექნებოდა. სამოქმედო პროგრამა ორ ნაწილად, უფრო სწორად ორ ეტაპად გვაქვს დაყოფილი. პირველი, რომელიც გარდამავალ პერიოდს შეესაბამება, ხოლო მეორე — ყველა ქართველისათვის ნანატრ ხანას, როდესაც ჩვენი სამშობლო პოლიტიკურად და ეკონომიკურად სრულიად თავისუფალი იქნება.

პირველ ეტაპზე უნდა მივიღოთ ისეთი კანონები და განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც სოფელს და მიწაზე მომუშავე კაცს გაათავისუფლებს ადმინისტრაციული დიქტატისაგან. გარდაუვალად უნდა დაიშალოს აგრარულ სექტორზე ისეთი მბრძანებელი ორგანო-გიგანტი, როგორიც აგროსამრეწველო კომიტეტია. მის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროები, რომლებიც თავისი საქმიანობის ახლებურად წარმართვით იზრუნებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და გადამუშავების მოცულობათა გაზრდაზე, ხარისხის ამაღლებასა და საერთოდ ამ სფეროს ისეთ განვითარებაზე, რათა იგი ავიყვანოთ თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების დონეზე.

ამასთანავე ახლავე უნდა ჩაეყაროს საფუძვლები სოფლად მეურნეობრიობის ისეთ ფორმებს, რომლებიც მომავალ საქართველოში დაფუძნდება. ვგულისხმობ სახელმწიფო სექტორთან ერთად გლეხურ, საიჯარო, კერძო, ინდივიდუალური, კოოპერაციული, შერეული, სააქციო ინსტიტუტების დამკვიდრებას, მათ შორის საბაზრო ურთიერთობების დამყარებას და სხვა.

— განსაკუთრებით ბოლო წლებში ხშირად გვესმენია, მაგალითად, რომ რესპუბლიკას თავის რჩენა არ შეუძლია, საამისოდ საკმარისი რაოდენობით ვერც მარცვლეულსა და ვერც მეცხოველეობის პროდუქციას ვერ აწარმოებს. ან კიდევ ასეთი მტკიცება: საქართველოში გლეხობა აღარ არისო. საზოგადოებრიობის უამრავი წარმომადგენლისათვის, როგორც ვიცით, ერთიც და მეორეც საწყენიცაა, წარმოუდგენელიც და მიუღებელიც. ამასთანავე, დასკვნის მიხედვით, რომელიც გამოჰქონდათ, გამოდიოდა, თითქოს ჩვენ რაღაც ნახევარკუნძულზე ვართ მომწყვდეული, საიდანაც დიდ მიწაზე გასასვლელ გზას მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ მივყავართ. საკითხავია, რატომ? თქვენ რას იტყოდით ამაზე?

— ვერაფრით ვერ დავეთანხმები ასეთ მოსაზრებას. უბრალოდ ის, რაც ახლა ხდება, — შედეგია, სავალალო ფაქტია და სულაც არ არის საქართველოს ტრადიციების კანონზომიერი გაგრძელება ან კიდევ ჩვენი რესპუბლიკის შესაძლებლობათა რეალური ასახვა. მოხდა ისე, რომ ცხოვრების ზეცენტრალიზაციამ, ყველაფრის ზემდგომი ორგანოების მიერ გადაწყვეტამ, მთელი ქვეყნის ერთი კაცის აზრითა და ნება-სურვილით ცხოვრებამ მოშალა და გააჩანაგა საქართველოს სოფლის მეურნეობა, გული აუცრუა გლეხს, დააცარიელა სოფლები, მოსპო სამთო მიწათმოქმედების ქართული ტრადიციული ფორმები და სხვა. ჩემი ნათქვამი ელემენტარულად ქართული კულტურისა და კინემატოგრაფიის მაშინდელ „შედევრებზე“ თვალის გადავლებითაც კი შეიძლება დამტკიცდეს. ვიღაცის ჭკუამ გადაწყვიტა, რომ საჭიროა საქართველოში მძიმე ინდუსტრიის განვითარება მთიელი მოსახლეობის ბარში ჩამოყვანის ხარჯზეო, და ეს ნააზრევი გადამეტებული დაბეჯითებით შესრულდა. ხალხში ამ ნაბიჯის პოპულარიზაციისათვის კი სასწრაფოდ შეიქმნა მხატვრული ფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. თუ რა ნაყოფი გამოიღო ამან, ყველამ ვიცით — მძიმე ინდუსტრია საქართველოში არცთუ ისე წარმატებით განვითარდა, მთა კი ნამდვილად დაძაბუნდა.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ეგ ახლა უკვე სხვა ჭკუამ მიაგნო „ჭეშმარიტებას“ და მიზნად ხალხის მთაში დაბრუნება დაისახა. ამ საკითხზე შესაშური ოპერატიულობით მიღებულ ზემდგომ ორგანოთა დადგენილებებს ხელოვნების მეორე „შედევრი“ მოჰყვა. ალბათ, გეხსომებათ, რა გამოხმაურება ჰქონდა ნაწარმოებს „მთას დაუბრუნდა მთიელი“.

სწორედ ასეთმა მოვლენებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ქვეყანა, რომელიც ერთ დროს სურსათ-სანოვაგის ექსპორტიორი იყო, ახლა ბევრ რამეში სხვათა ხელის შემყურე დარჩა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ, ღვთის წყალობით, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით წინასწარ განსაზღვრულია მისი უზარმაზარი პოტენციალი. თუ ამას რეალურად არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ რით ავხსნათ ის, რომ საქართველოზე ტერიტორიულად ბევრად მცირე და კლიმატური პირობებით არცთუ ისე განებივრებული ქვეყნები, როგორიცაა ლუქსემბურგი, ისლანდია, ნიდერლანდი და სხვანი, თავის თავსაც ირჩენენ და სურსათის ექსპორტით შესამჩნევად ავსებენ თავიანთ სავალუტო ხაზინას?

ასე რომ, ღვთისაგან ნაბოძები ბუნებრივი სიმდიდრის, ქართველი კაცის ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით, ახალი პოლიტიკური კურსის თანამიმდევრობითი გატარებით, ალბათ, სულ მალე ჩვენს ცნობიერებაში გამჯდარი აზრი, თითქოს რესპუბლიკას თავის რჩენა არ ძალუძს და ხსნა მხოლოდ ჩრდილოეთშიაო — მოგონებადღა დარჩება.

— იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც დღეისათვის გვაქვს, უნდა ვაღიაროთ, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერება, როდესაც იგი სტრუქტურული დაქვემდებარების წესით აგროსამრეწველო კომპლექსის მომსახურებისათვის იყო გამიზნული, დარგზე დადებით ზეგავლენას ვერ ახდენდა. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მეცნიერება რაღაც თავის პრობლემატიკას ამუშავებდა, ლაბორატორიული ცდები წარმატებით სრულდებოდა, მაგრამ მათი პრაქტიკული დანერგვა რატომღაც იწვევდა დაშრობილი მიწების ხელახალ დაჭაობებას, გაშენებული პლანტაციების ამოძირკვას. მაღალპროდუქტიული საქონლის გადაშენებას, ნიადაგების ეროზიას, ცხოველებისა თუ მცენარეულობის მინერალური სასუქებითა და ათასგვარი კირით მოწამვლას და ა. შ.

ასეთი ეფექტის მომცემი მეცნიერება თავისი „მაღალი სფეროებიდან“ გლეხკაცს მოსახმარებლად თუ დაეშვება ჩვენს ცოდვილ მიწაზე, რა ძალით და როგორ?

— ჩემი მოსაზრებანი ამის თაობაზე წინა შეკითხვაზე ნაფიქრალის ლოგიკური გაგრძელებაა, მეცნიერებასაც იგივე სენი სჭირდა, რაც სოფლის მეურნეობას. ორივე სხვისი ნააზრებით ვითარდებოდა, მეცნიერებას კი, გარდა სხვა ფუნქციებისა, საზოგადოებრივი წყობის უპირატესობათა დამადასტურებელი თეორიების შემუშავებაც ევალებოდა. ამის დასტურად თუნდაც ლისენკოს თეორიის ნაძალადევი აღიარებისა და დამკვიდრების აქციაც კმარა. მეცნიერებისა და პრაქტიკის ასეთი განვითარება ვერავითარ შედეგს ვერ მოგვცემდა ვერც სოფლის მეურნეობაში და ვერც სხვა დარგებში.

ფაქტია, რომ მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთკავშირი სხვა ფორმით უნდა წარიმართოს, არ გამოვრიცხავ მათ შორის საბაზრო ურთიერთობებსაც. მეტი ეფექტიანობის მისაღწევად შევეცდებით შევისწავლოთ განვითარებული საზღვარგარეთული ქვეყნების გამოცდილება და დავნერგოთ იგი ჩვენში.

გვაქვს ასეთი მოსაზრებაც. ქართველი გლეხი გაუცნობიერებლად მეცნიერიც იყო, რადგან თავის საქმიანობას გარემოზე, ნიადაგზე, მცენარეული და ცხოველური სამყაროს თავისებურებებზე დაკვირვებით, რეგიონისთვის შესაბამისი სელექციური ჯიშების გამოყვანით ეწეოდა.

ამით მათ უნიკალური კულტურები, ჯიშები და უმდიდრესი აგრარული ტრადიციები შექმნა. ამიტომ ვაპირებთ ხელი შევუწყოთ ქართული ტრადიციული მეურნეობრიობის აღორძინებას, ეკოლოგიურად სუფთა, ბიოდინამიკური საკვლევი ეზოს შექმნას, სადაც მეცნიერულ გამოკვლევას დაექვემდებარება ქართველი გლეხის ძველთაძველი ფენომენი და გენია.

— დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია საკუთრების საკითხი. საქართველოს პირობებში კი, მგონია, უპირველესია მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის პრობლემა. ხშირად გვესმენია, რომ „მიწა უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინც მას ამუშავებს“, ხოლო პრაქტიკაში სულ სხვანაირად იყო და არის კიდეც, რამაც მიგვიყვანა დღევანდელ სავალალო მდგომარეობამდე. როგორ წარმოგიდგენიათ მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე გადასვლა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პრივატიზაცია, გაკერძოება, და ამჟამად რამდენადაა ყოველივე ეს შესაძლებელი?

— ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მიწის კანონის შესამუშავებლად. მუშავდება რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი. საქმეში ჩაბმული არიან სამეცნიერო და იურიდიული წრეების წარმომადგენლები, აგრეთვე პრაქტიკოსები. ვცდილობთ გამოვიყენოთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, გამოვნახოთ საქართველოს გეოგრაფიული და ეთნიკური თავისებურებების შესატყვისი ვარიანტი.

ვფიქრობთ, რომ მომავალში საქართველოში მიწის სახელმწიფო და კერძო საკუთრებასთან ერთად აღდგება მიწის საეკლესიო საკუთრება. დღეისათვის მუშავდება ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ასპექტები და სულ მალე კანონპროექტის სახით წარედგინება ფართო საზოგადოებრიობას განსახილველად.

მე, რა თქმა უნდა, მაქვს ჩემი მოსაზრებანი მიწის რეფორმაზე, მაგრამ ნება მიბოძეთ ეს მოსაზრებანი დარჩეს ჩემთან, რადგან გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის კანონს და სწორედ ის განსაზღვრავს საბოლოოდ მიწასთან მოსახლეობის ურთიერთობის ფორმებს.

მიწის პრობლემა მეტად ფაქიზია და მისი კანონმდებლობის მიღებამდე მრავალი ნიუანსის გათვალისწინებით პირველ რიგში მისაღებია სხვადასხვა სახის პოლიტიკური აქტები, მანამდე კი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ“, ძირითადი კანონის შემოღებამდე მოაწესრიგებს მიწასთან ურთიერთობის იურიდიულ ასპექტებს.

— ახლა ხშირად ლაპარაკობენ საბაზრო ეკონომიკაზე. უდავოდ, საკვანძო საკითხია: რამდენად მზად არის ამ კარდინალური გარდაქმნისათვის საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსი?

—როგორც მოგახსენეთ, ჩვენი სახალხო მეურნეობა, განსაკუთრებით კი აგროსამრეწველო კომპლექსი, იმდენად მოშლილია, რომ ნამდვილად არ არის მზად რაიმე ახალ ეკონომიკურ მექანიზმზე გადასასვლელად, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ამის დაწყება გარდაუვალია? ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჯეროვნად არა ვართ მზად, პირველი ნაბიჯები აგროსამრეწველო კომპლექსში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისათვის აუცილებლად უნდა გადაიდგას, რადგან არ არსებობს ცივილიზებულ სამყაროსთან ეკონომიკური ურთიერთობების სხვა მექანიზმი.

— კომისიის მიზნები კეთილშობილურია და გასაგებიც. ეგებ ნაადრევიც იყოს და ამდენად მერიდება კიდეც, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: როდის შეგვეძლება მივიღოთ ტრადიციული ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის გაწეული დიდი მუშაობის პირველი ხელშესახები შედეგები, რათა ამ საფუძველზე დავიწყოთ ასე მონატრებული და სიცოცხლისათვის აუცილებელი წინსვლა?

— ჩვენი კომისიის არსებობის დედააზრიც სწორედ ის არის, რომ გარდატეხას და აღორძინებას რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ. თუ რამდენად გავართმევთ თავს ხალხისა და ღვთისაგან დაკისრებულ ამ მისიას, ცხოვრება გვაჩვენებს. ჩვენი მხრივ კი თავს არ დავზოგავთ სასურველი მიზნების მისაღწევად.

დასასრულს ნება მიბოძეთ გაგიზიაროთ მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ როგორ მესახება პიროვნულად ჩემი ადგილი კომისიის საქმიანობაში.

მე ქართველი ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი ვარ და, ბუნებრივია, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ საქართველოში ჭეშმარიტად ეროვნული ტრადიციების აღორძინებას. ამაში მე და ჩემი თანაპარტიელები ვხედავთ იმ გზას, რომელიც აუცილებლად მიიყვანს ჩვენს სამშობლოს სანუკვარ მიზნამდე, როგორც მოგეხსენებათ, ქართველებს, გეორგებს, ანუ მიწის შვილებს გვიწოდებენ. სინამდვილეშიც თითქმის ყველაფერი, რაც ქართველ კაცს ფიზიკურად და გენეტიკურად მოსდგამს, მიწიდან მოდის. სწორედ აქედან აღმოცენდა ქართული კულტურა, ფოლკლორი, ხუროთმოძღვრება, აგრარული ტრადიციები და სხვა უამრავი კარგი რამ, რაც, ღვთის წყალობით, არ გვაკლია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი ეს ქართველმა კაცმა მიწასთან ჭიდილში, ვაზის ფერებში, იალაღებზე ნათიბ ღამეებში შექმნა და შეისისხლხორცა. მჯერა, რომ თუ სადმე უნდა აღდგეს მამაპაპეული ტრადიციები, —უწინარესად სოფლად უნდა მოხდეს, და ის ფაქტი, რომ მე, ქართველ ტრადიციონალისტს, წილად მხვდა სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიაში მუშაობა, ღვთის ნაბოძებ წყალობად მიმაჩნია. სწორედ ამიტომ მინდა განვაცხადო, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურებ, ოღონდ პირნათლად მოვიხადო ვალი ღვთისა და ერის წინაშე. ეს ჩემი, როგორც ადამიანის, ქართველის, ტრადიციონალისტის ვალია, ხანდახან კი მგონია — ბედიც. ხომ გახსოვთ: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად დაადგინა ერთ ოლქში დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატთა წარდგენისათვის საჭირო ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით:

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა ნაკლებია 200-ზე, საკმარისია ამ ოლქის 5 ამომრჩევლის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობაა 201-დან 1000-მდე, საკმარისია ამ ოლქის 20 ამომრჩევლის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობაა 1001-დან 4000-მდე, საკმარისია ამ ოლქის 40 ამომრჩევლის ხელმოწერა.

თუ ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა 4000-ზე მეტია, საკმარისია ამ ოლქის 100 ამომრჩევლის ხელმოწერა.

ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენა შეიძლება ტერიტორიულ და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში.

პარტიები, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე

1. საზოგადოება „კასპს“, ვინაიდან მისი პროგრამა და წესდება ვერ აკმაყოფილებს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლს.

2. საქართველოს წმინდა მამა დავით გარეჯელის საზოგადოებას, ვინაიდან იგი უშვებს საზოგადოების კოლექტიურ წევრობას, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას.

3. საქართველოს მთიელთა პოლიტიკურ კავშირს, იმის გამო, რომ არ დადასტურდა მისი ცალკე პოლიტიკურ პარტიად არსებობა (კანონის მე-8 და მე-14 მუხლები).

4. საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს, რადგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობისათვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ სახელწოდებით რეგისტრაციაში გაატარა სხვა პოლიტიკური პარტია.

5. საზოგადოება „რუსთაველებს“, ვინაიდან მისი პროგრამა და წესდება ვერ აკმაყოფილებს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

6. სახალხო მოძრაობა „გეირატს“, ვინაიდან მისი წესდებით მოძრაობის წევრად მიღება გათვალისწინებულია ყველა პირისა განურჩევლად პარტიულობისა, რაც კანონის მე-8 მუხლის დარღვევაა.

7. საქართველოს მოიჯარეთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირს, რადგან მისი წესდებით კავშირში წევრთა მიღებისა და გასვლის დადგენილი წესი იწვევს კანონის მე-8 მუხლის დარღვევას.

8. მოძრაობას დემოკრატიისათვის „დემოკრატიულ საქართველოს“, ვინაიდან მისი წესდებით დაშვებულია კოლექტიური წევრობა და ცალკეულ პირთა გაწევრიანება, მიუხედავად მათი პარტიულობისა, რაც იწვევს კანონის მე-8 მუხლის დარღვევას.

9. ტყიბულის მშრომელთა კავშირს, ვინაიდან მისი პროგრამით და წესდებით გათვალისწინებული არ არის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის კანონის მე-8 მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

10. საქართველოს ახალგაზრდულ კავშირს, რადგანაც მისი წესდება უშვებს კოლექტიურ წევრობას, ასევე ცალკეულ პირთა წევრობას, მიუხედავად მათი პარტიულობისა, რაც არ შეესაბამება კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

11. ფშავის თემთა საკრებულოს, რადგანაც მისი პროგრამა და წესდება არ შეესაბამება არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისათვის კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

12. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაცია „ლემს“, ვინაიდან მისი წესდებით დაშვებულია წევრად მიღება მიუხედავად პარტიულობისა, რაც კანონის მე-8 მუხლის დარღვევაა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების საქალაქო და ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნულ წევრთა სია

1. ქ. ბათუმის საქალაქო საარჩევნო კომისია

თავმჯდომარის მოადგილე — **შერვაშიძე** მანუჩარ პროკოფის ძე — ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

წევრები:

ციცხვაია ავთო ანზორის ძე — ტურისტული კომპლექსის ინჟინერი

ცირეკიძე ეთერ გივის ასული — ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების ბიუჯეტის უფროსი ეკონომისტი

ბიბილეიშვილი იური აქსენტის ძე — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი

მახარაძე ოთარ დავითის ძე — სტატისტიკის აჭარის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ბათუმი, იბერიის 15, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ცენტრალური საქალაქო შტაბის შენობა

ტელ: 3-61-18

2. ტერიტორიული საარჩევნო კომისიები:

ქედის

თავმჯდომარის მოადგილე — **კაკაბაძე** გოდერძი გურამის ძე — მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ბათუმის სასწავლო-საწარმოო კომბინატის ინჟინერი

წევრები:

არაბიძე ამირან ჯამბულის ძე — ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატის ზეინკალი

კაკაბაძე ნაზი ჯემალის ასული — ქედის საშუალო სკოლის მასწავლებელი

ზარაძე რესან ვლადიმერის ძე — ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ქედის საყრდენი პუნქტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ზუმბაძე გიორგი ვლადიმერის ძე — ქედის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე

მისამართი: დაბა ქედა. გმირების ქ. №4. ტელ. 3-19-26.

ქობულეთის

თავმჯდომარის მოადგილე — **ღლონტი** ვაჟა სულეიმანის ძე— ისტორიკოსი, ინტურისტის სასტუმროს „კოლხეთის“ მომარაგების უფროსი,

წევრები:

დიასამიძე ციური თედოს ასული — ქობულეთის რაისაბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკარი

კაიკაციშვილი ნოდარ ოსმანის ძე — ქობულეთის რაიონის სატყეო მეურნეობის დირექტორი

კონცელიძე ოთარ ოსმანის ძე — რაიონული გაზეთის „ქობულეთის“ რედაქტორის მოადგილე

დობორჯგინიძე ვიქტორ შალვას ძე — ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი

მისამართი: დ. აღმაშენებლის ქ. №141, ტელ: 25-56

შუახევის

თავმჯდომარის მოადგილე — **ბერიძე** ამირან ქამილის ძე — შუახევის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე

წევრები:

აბუსელიძე ჯემალ ოთარის ძე — შუახევის რაიონულ სტამბასთან არსებულ კოოპერატივ „მერანის“ თავმჯდომარე

ბაკურიძე ნუგზარ რეჯების ძე — საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის ინსტრუქტორი

ფუტკარაძე ნუგზარ ვეზირის ძე — შუახევის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის შრომისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თავდგირიძე მერი მამულის ასული — შუახევის საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორი.

მისამართი: დაბა შუახევი, რუსთაველის ქ. №6 ტელ: 2-10-20; 2-11-76

ხელვაჩაურის

თავმჯდომარის მოადგილე — **ხალვაში** ნოდარ დავითის ძე — ბათუმის სამშენებლო ტრესტი

წევრები:

წულუკიძე რეზო ნესტორის ძე — ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე

ჯაფარიძე ჯემალ ახმედის ძე — რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მეთოდისტი

დიასამიძე ზაურ ფულულის ძე — რაიონის საგზაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი

აბაშიძე მადლენა მიხეილის ასული — სარაიონო კულტურის სახლის მეთოდისტი

მისამართი: დაბა ხელვაჩაური თამარ მეფის ქ. №6, ტელ: 4-27-17

ხულოს

თავმჯდომარის მოადგილე — **მელაძე** როლანდ ტარიელის ძე — ბუღალტერი, კოოპერატივ ავტოსაბურავების შემკეთებელი

წევრები:

ლაბაძე ელგუჯა პეტრეს ძე — — აჭარის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსი

ცეცხლაძე ბეჟან ისაკის ძე — სოფელ სკვანის სკოლის მასწავლებელი

ბოლქვაძე მერაბ ალექსანდრეს ძე — ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების დირექტორი

კახიძე დავით ემზარის ძე — დროებით უმუშევარი

მისამართი: ხულო. რუსთაველის ქ. №2, კავშირგაბმულობის სახლი. ტელ.: 2-21-44

[illegible]ოვნული გვარდია

დროებით, ვიდრე...

ანუ სახელდახელო საუბარი უზენაესი საბჭოს შესასვლელთან

შესასვლელთან მხარზე ავტომატგადაკიდებული კაცი გვაჩერებს. ფორმაზე ეტყობა, მილიციელი არ უნდა იყოს: ხაკისფერი ბლუზა და ხაკისფერივე შარვალი აცვია, მხრებზე კი მუქ-ლურჯი, დათბილული ჯუბაჩა მოუსხამს.

საშვი შეგვიმოწმა, მერე, ვისთან მიდიხართო, გვკითხა და გაოცდა, როცა ვუპასუხეთ:

— თქვენს სანახავად მოვსულვართ, თქვენთან საუბარი გვსურს...

არც გვიცრუია: მართლაც ამ მიზნით მივედით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, რადგან, ვიცოდით,იმ დღეს შენობას საქართველოს ეროვნული გვარდიის მოხალისეთა ერთი, ჩვენთვის საინტერესო, ჯგუფი იცავდა.

და აი, დგას ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ჩვენს წინ და, რა გითხრათ, რაზე გესაუბროთო, გვეკითხება გაკვირვებული.

არადა, სასაუბროს მეტი რა გვაქვს.

თუნდაც იმით დავიწყოთ, რამ გადააწყვეტინა ოზურგეთის რაიონის ნასაკირალის თექვსმეტ მკვიდრს ჩამოსულიყვნენ საქართველოს დედაქალაქში და უზენაესი საბჭოს შენობას დადგომოდნენ დარაჯად.

— არა, მთლად ასე არ არის, — გვეუბნება მოსაუბრე, რომელსაც უკვე გავეცანით და რომელიც მოხალისეთა რაზმის მეთაური მერაბ ხაბეიშვილი აღმოჩნდა, — თავდაპირველად სამაჩაბლოში ატეხილმა ამბებმა აგვყარა ნასაკირალიდან, ერთხმად გადავწყვიტეთ, მამულს უჭირს და სახლში ჯდომის დრო არ არისო. მერე კი, აქ რომ ჩამოვედით, აღმოჩნდა, თბილისშიც ძალზე საჭირონი ვყოფილვართ და... დავრჩით.

ვიდრე ბატონ მერაბს ვესაუბრებოდით, რაზმის სხვა წევრებიც შემოგვიერთდნენ.

თექვსმეტივე ნასაკირალის მკვიდრია. იქ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ზოგი მეურნეობაში მუშაობს მუშად, ზოგი ბრიგადირია, რაზმის ხელმძღვანელს კი თეატრალური ინსტიტუტი დაუმთავრებია. და კიდევ: თექვსმეტივე გურიის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო-დემოგრაფიული საზოგადოების წევრია, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბატონი ვიტალი ჯაში თავმჯდომარეობს.

სხვათა შორის, ეს საზოგადოება ახლახან შეიქმნა, — ამბობს მერაბ ხაბეიშვილი, — უფრო ზუსტად კი, უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ. ამას თავისი კონკრეტული მიზეზიც ჰქონდა და მიზანიც აქვს. საქმე ის არის, რომ არჩევნების დროს ნასაკირალში კომპარტიამ გაიმარჯვა, თუმცა ამას გამარჯვებას ვერ ვუწოდებთ. ნასაკირალში მაშინ ჯერ კიდევ მყარად იდგა პარტიის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი, რომელმაც სხვადასხვა მიუღებელი ხერხებით შეძლო არჩევნებში გამარჯვება...

— კი, მაგრამ ხალხი? მოსახლეობა? — უნებურად გაგვიჩნდა კითხვა.

— ხალხი? სწორედ ეს არის საქმე. ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე და ამიტომაც შეიქმნა ჩვენი საზოგადოება, რომელიც ეცდება ბოლომდე გამოამზეუროს, ვინ ვინ არის და ვინ რას აკეთებს. ეს ძალზე სჭირდება ნასაკირალს.

როცა ეროვნული გვარდიის ოზურგეთის მოხალისეთა ჯგუფის ბიოგრაფიას მეტ-ნაკლებად გავეცანით, გადავწყვიტეთ, დაწვრილებით შეგვეტყო, რას საქმიანობს ამჟამად იგი და რა მოვალეობას ასრულებს აქ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესასვლელთან.

წესრიგს ვიცავთო, იყო პასუხი, თუმცა ამან არ დაგვაკმაყოფილა: საშვების შესამოწმებლად და წესრიგის დასამყარებლად ხომ მილიციის სპეციალური სამსახურია გამოყოფილი?!

— მართალია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, — გვეუბნება რაზმის ერთ-ერთი წევრი ბატონი ლაჟვარდ ბოლქვაძე, — 18 იანვრიდან აქ ვიმყოფებით და კარგად ვხედავთ: უზენაეს საბჭოში მრავალი პროვოკატორი ცდილობს ხოლმე შეღწევას, იყო შემთხვევა, როცა მავანი პიროვნება შიმშილობას აპირებდა პირდაპირ აქ, შესასვლელში, ბინით დამაკმაყოფილეთო. ყოველი ამგვარი შემთხვევა კი, ვფიქრობ, ხელს უშლის საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას მუშაობაში...

— სხვათა შორის, როცა პირველად მოვედით უზენაეს საბჭოში, მილიციელებმა ვერ გაიგეს, ვინ ვიყავით და რისთვის გამოვცხადდით, ისიც კი უფიქრიათ, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები არიანო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გაირკვა, ჩვენ ჩვენი მოვალეობის შესრულებას შევუდექით, — ამას მერაბ ხაბეიშვილი გვიყვება და თან იმ თექვსმეტი მოხალისის გვარებს გვაწერინებს, დღედაღამ აქ რომ დგანან.

რამდენიმე გვარმა გაგვაკვირვა: ადამე, ტუნაძე, ყურაძე... არ ჰგავს გურულ გვარებს-თქო, ვთქვით და:

— არა, ზოგი მესხია, ზოგი აჭარელი, თუმცა ყველა ნასაკირალში ცხოვრობს. აი, თუნდაც შოთა ტუნაძე, 1977 წელს გადმოსახლდა მისი ოჯახი ნასაკირალში საცხოვრებლად. ნოდარ ადამე კი აჭარელია, ისიც კარგა ხანია იქ ცხოვრობს. მოკლედ, რაზმში ყველანი ვართ: აჭარლები, გურულები, მესხები, მთელი საქართველო...

მოხალისეთა ეს ჯგუფი თბილისში ჩამოსვლისთანავე ეროვნულ გვარდიაში ჩაირიცხა, დაურიგდათ სატაბელო იარაღი, აღჭურვილობა.

— ეს ყველაფერი დროებითია, — ამბობს რაზმის ხელმძღვანელი, — ახლა საქართველოს ეროვნულ გვარდიაში ახალგაზრდების გაწვევა მიმდინარეობს. და როცა ისინი სპეციალურ მომზადებას გაივლიან, მოვლენ და შეგვცვლიან. მაშინ ჩვენი რაზმის წევრები ნასაკირალში დავბრუნდებით, საქმე და საკეთებელი არც იქ გვაქვს ცოტა. მანამდე კი...

მანამდე ოზურგეთელ მოხალისეებს წუთით არ აქვთ მოსვენება. ამას წინ, მაგალითად, მცხეთის მილიციის განყოფილების თხოვნით და უზენაესი საბჭოს დავალებით ერთ გახმაურებულ საქმეშიც მოუწიათ მონაწილეობა: გახსოვთ, ალბათ, მცხეთის მილიციის რაიგანყოფილება რომ დაარბიეს.

სწორედ მოხალისეთა მეშვეობით დააკავეს იზოლატორებიდან გაქცეული პირები, ამოიღეს გატაცებული სატაბელო იარაღი.

მილიციამ შვებით ამოისუნთქა, ჩვენ რომ მივედით, — იხსენებს ლაჟვარდ ბოლქვაძე, რომელიც ყველაზე ხნოვანია მოხალისეთა შორის.

მართალიაო, ღიმილით გვეთანხმება იგი, ბაბუა ვარ, ოჯახი მაქვს, მაგრამ ამან როდი შემიშალა ხელი, საქართველოს სიმშვიდის სადარაჯოზე დავმდგარიყავი. პირიქით, როცა აქ მოვდიოდი, მოხუცმა დედამ გამამხნევა და დამლოცა.

ასევე დალოცავდნენ, ალბათ მშობლები, მეუღლეები ნოდარ ადამეს, შოთა ტუნაძეს, თემურ ბახუნტარაძეს, სალი ყურაძეს, დიმიტრი თალაკვაძეს, ქამილ ბექაძეს, სერგო ბოლქვაძეს, რევაზ ფუტკარაძესა და სხვებს.

იმედი გვაქვს, ყველას თავისი წილი მოსავალი მიუვა. მით უფრო, დედა-საქართველო ლოცავს თითოეულს და ყველას, ვინც ძნელბედობის ჟამს არ ივიწყებს ვალს: დაიცვას საქართველო.

სოსო ბაღაშვილი

შიდა ქართლი

მხოლოდ სიმართლე

პასუხად მათ, ვინც ქართველებსა და ოსებს შორის მტრობას თესავენ

მას შემდეგ, რაც ოსმა ექსტრემისტებმა თავისივე ხალხის საზიანოდ უკეთური საქმე წამოიწყეს და ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ქალაქ ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს შორის მანამდე არსებული მეგობრული ვითარება მტრობად ექციათ, მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა და ათობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. იმ ერთი მუჭა უგუნურ ადამიანთა წყალობით, ვისაც თავისი ამბიციური, კარიერისტული მისწრაფებანი უნდათ დაიკმაყოფილონ, სისხლი იღვრება ქართველებსა და ოსებს შორის, ცეცხლის ალში ეხვევა წვითა და დაგვით აშენებული სახლები, თავის კარ-მიდამოს ტოვებს ათასობით ადამიანი, რათა სიცოცხლე შეინარჩუნოს.

ასეთ ვითარებაში ყველა პატიოსანი ადამიანის პირველესი ვალია ვამხილოთ ისინი, ვისაც ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ტრაგიკული სიტუაციის შექმნისათვის. მხედველობაში მყავს ეგრეთ წოდებული „ადამონ ნიხასის“ მესვეურები და მათი მხარდამჭერი იმპერიული ძალები, რომლებიც, გამოდიან რა ცნობილი თეზისიდან — „დაანაწევრე და იბატონე“ — ქართველებსა და ოსებს შორის მტრობის დასათესად მრავალ ბინძურ მეთოდთან ერთად ყალბი ინფორმაციის გავრცელებასაც ფართოდ იყენებენ.

არ შეიძლება არ აღგაშფოთოთ მოსკოვში გამომავალ გაზეთ „მეგაპოლის ექსპრესის“ № 5-ში გამოქვეყნებულმა და შემდეგ საკავშირო ტელეგადაცემის პროგრამა „ვრემიაში“ გამეორებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ 1920 წელს ოსებით დასახლებულ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში 5 ათასი ოსი მოკლეს და კიდევ 50 ათასი იძულებული გახადეს საქართველოდან წასულიყვნენ.

როგორია სინამდვილეში საქმის ვითარება?

კარგად არის ცნობილი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს (1918-1921 წლები) რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოგზავნეს თავისი დაქირავებული აგენტები და დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ ოსების „აჯანყება“ მოაწყვეს. ეს იყო სუფთა წყლის ავანტიურა და ქართველი ხალხისათვის ზურგში ლახვარის ჩაცემა, რასაც ვერ შეურიგდებოდა ნებისმიერი კანონიერი ხელისუფლება. ცხადია, ავანტიურას არ ჰქონდა არავითარი მხარდაჭერა თვით ოს მოსახლეობაში და იგი ჩაიშალა. ცნობილია, რომ ოსი ავანტიურისტები მაშინ შიდა ქართლის ქართულ სოფლებსაც შეესივნენ და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ააწიოკეს. მსხვერპლი იყო ორივე მხრივ, მაგრამ საიდან აიღეს ეს ცნობა, რომ 5 ათასი ოსი მოკლეს? ეს ხომ ნამდვილი ზღაპარია და ოსების მსხვერპლი ასჯერ მაინც არის გადაჭარბებული. თუკი ამ წარმოუდგენლად გაბერილი ციფრის გამოქვეყნება იკისრა რუსულმა გაზეთმა და მოსკოვის ტელევიზიამ, ისიც ხომ უნდა ეთქვათ, რა შეცდომაში შეიყვანა მაშინ რუსეთის ბოლშევიკურმა მთავრობამ ოსები და როგორი იყო მსხვერპლი ორივე მხრივ. ასევე ცილისმწამებლური და თავიდან ბოლომდე ყალბია საქართველოდან 50 ათასი ოსის წასვლა. ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში, აგრეთვე მანამდისაც ოსები კი არ მიდიოდნენ, არამედ, პირიქით, თანდათან მოდიოდნენ საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან, სადაც მათი სამშობლოა. ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ციფრები: 1897 წლის მოსახლეობის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 81,5 ათასი ოსი, 1926 წლის ისეთივე აღწერით კი 113,3 ათასი. ამრიგად, 29 წლის მანძილზე ოსების რიცხვი საქართველოში გადიდდა 31,8 ათასით ანუ 39%-ით. ეს მაშინ, როცა თვით ქართველების რაოდენობა თავის სამშობლოში იმავე პერიოდში გადიდდა 34%-ით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ოსებს ქართველებზე მაღალი ბუნებრივი მატება არ ქონდათ, ცხადია, გარედან მოვიდა ათასობით ოსი ეროვნების ადამიანი. სინამდვილეში ესაა და არა ის, რომ საქართველოდან იძულებით წავიდა 20-იან წლებში 50 ათასი ოსი.

ახლა გვინდა ვუპასუხოთ „ადამონ ნიხასის“ მესვეურებს, რომლებიც გაჰყვირიან — „არიქა გვიშველეთ, საქართველოში ოსები იჩაგრებიანო“. ასეთი მოწოდება, მეტი რომ არ ვთქვათ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ვეცდები ნათქვამი დავადასტურო რეალური ფაქტებით.

არ შევუდგები შორეული წარსულის განხილვას, რადგან ამაზე უკვე თქვეს ჩვენმა ისტორიკოსებმა, არამედ მოვიტან ზოგიერთ ცნობას ოსი მოსახლეობის შესახებ ორი უკანასკნელი საუკუნის ისტორიიდან, უფრო ზუსტად მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია საქართველოს დაეპატრონა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების რაოდენობა არ აღემატებოდა 29 ათასს, რაც შეადგენდა საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის დაახლოებით 3,5%-ს. მას შემდეგ საქართველოში ოსების რიცხვი უწყვეტად იზრდებოდა და 1989 წლის მოსახლეობის აღწერით შეადგენს 164 ათასზე მეტს ანუ თითქმის 6-ჯერ გადიდდა. აქედან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს 65 ათასი, ანუ 39%. ოსებს არა აქვთ მაღალი ბუნებრივი მატება, მაგრამ XIX-XX საუკუნეებში კვლავ გრძელდებოდა ოსების ჩამოსახლება. სხვათა შორის, ეს ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც, როდესაც ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიიდან ბევრი ეგრეთ წოდებული „განკულაკებული“ ოსი ჩამოსახლდა საქართველოში. გარდა იმისა, რომ ოსები მოდიოდნენ საქართველოში გარედან, ადგილი ჰქონდა ოსებს შორის ინტენსიურ შიგარესპუბლიკურ გადაადგილებას, რაც შემდეგში გამოიხატა: თუ ოსებს წარსულში ძირითადად ეკავათ კავკასიონის სამხრეთი და ჩრდილოეთი მაღალმთიანი ტერიტორიები, ისინი XX საუკუნეში თანდათან ჩამოდიოდნენ საქართველოს ბარში, სადაც იკავებდნენ უკეთეს მიწებს ან სახლდებოდნენ ქალაქებში. ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლო ათეული წლების მანძილზე, რაც კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან.

ერთი საუკუნის წინათ ცხინვალში ცხოვრობდა ოსების მხოლოდ სამი ოჯახი, 1926 წელს კი ისინი შეადგენდნენ ცხინვალში 1100 კაცს, მაშინ როცა ქართველები იყვნენ 2000. ამჟამად ცხინვალში ცხოვრობს 32 ათასამდე ოსი ანუ ყოფილ ავტონომიურ ოლქში მცხოვრები ოსების თითქმის ნახევარი. როგორც ვხედავთ, საბჭოთა პერიოდში ქართული ქალაქი ცხინვალი თითქმის მთლიანად დაიკავეს მთიანი სოფლებიდან ჩამოსახლებულმა ოსებმა. უკანასკნელი 60 წლის მანძილზე ოსების რიცხვი ცხინვალში 30-ჯერ გადიდდა, ქართველების რიცხვი კი მხოლოდ 3-ჯერ. ამის შედეგად, ცხინვალში ოსები შეადგენენ ამჟამად 73%-ზე მეტს, ხოლო ქართველები 16%-ს.

მე ვურჩევ „ადამონ ნიხასის“ მესვეურებს, მიბრძანდნენ ცხინვალის საქალაქო საბჭოში, და გაიგონ, რამდენმა ოსმა მიიღო ქალაქში სამოსახლო ნაკვეთი, ან ვის ეკუთვნის კაპიტალურად ნაგები ინდივიდუალური სახლების აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქის პრესტიჟულ უბნებში, ან რამდენი კეთილმოწყობილი ბინა მიიღეს ოსებმა ახალ სახლებში. და აი მაშინ დარწმუნდებიან ისინი, ვინ იჩაგრება ცხინვალში — ოსი თუ ქართველი კაცი..

არ იფიქროს ვინმემ, რომ ოსები მარტო ცხინვალში სახლდებოდნენ. თბილისში ოსების რიცხვი 1926-1989 წლებში, ანუ 63 წლის მანძილზე, გაიზარდა 2,8 ათასიდან 33,1 ათასამდე ანუ თითქმის 12-ჯერ. შედარებისათვის საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში ქართველების რიცხვი დედაქალაქში გადიდდა მხოლოდ 6-ჯერ. გორში იმავე წლებში ოსების რიცხვი გაიზარდა 330 კაციდან 8,2 ათასამდე ანუ 25-ჯერ, ქართველების რიცხვი კი 7-ჯერაც არ გაზრდილა. რუსთავში 1926 წელს, რა თქმა უნდა, არც ერთი ოსი არ იყო, ახლა კი მათი რიცხვი ქალაქში 5,6 ათასს შეადგენს. მრავალჯერ გადიდდა ოსების რაოდენობა ხაშურში, ქარელში, კასპში, მცხეთაში, და საქართველოს ბევრ სხვა ქალაქში.

ავიღოთ თუნდაც ასეთი ფაქტი: 1989 წლის მონაცემებით იმ 28,2 ათასი ქართველიდან, ვინც ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობს, მხოლოდ 6 ათასი ანუ დაახლოებით 20%-ია დამკვიდრებული ცხინვალში, მაშინ როცა ყოფილ ოლქში მცხოვრები 65 ათასი ოსიდან ნახევარზე მეტი ცხოვრობს ამ ქალაქში. თუ ჩავუფიქრდებით ამ მონაცემებს, დავრწმუნდებით, რამდენად არაობიექტურნი არიან ისინი, ვინც ოსების შევიწროებაზე მსჯელობენ.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მხოლოდ ეროვნულ შემადგენლობაში და ტერიტორიულ გადაადგილებაში მომხდარი ცვლილებანი არ არის საკმარისი „ადამონ ნიხასის“ მესვეურთა არაობიექტურობის დასამტკიცებლად. კეთილი და პატიოსანი, გადავხედოთ ოსი მოსახლეობის, ცხოვრების სხვა მხარეებსაც.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ საქართველოში გასაბჭოების შემდეგ ერთ-ერთი პირველი გორი-ცხინვალის რკინიგზა აშენდა. ცხინვალში შეიქმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკმაოდ მსხვილი სამრეწველო საწარმო და ქალაქი 10-ჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა. ზრდა მოხდა სწორედ ოსების ჩასახლების შედეგად, მაშინ როდესაც საუკუნის წინათ ის სუფთა ქართული ქალაქი იყო. განა ათეული ათასობით ოსმა არ გაიუმჯობესა ცხოვრების პირობები, როცა ისინი მაღალმთიანი ზონის სოფლებიდან ცხინვალში და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩამოსახლდნენ?

ამაზე ნაკლები მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ ცხინვალში დაარსდა უმაღლესი სასწავლებელი, ოსური თეატრი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, კიდევ რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულების ფილიალი. აქ ხომ ძირითადად ადგილობრივი ეროვნული კადრები მოღვაწეობენ? ჩვენმა ოსმა კოლეგებმა კარგად იციან, თუ სად მომზადდა ეს კადრები.

ფართო საზოგადოებრიობა, შესაძლოა, არც იმ სფეროშია ინფორმირებული, თუ როგორი გულწრფელი და მეგობრული თანამშრომლობა აქვს ქართველ ინტელიგენციას არა მარტო ყოფილი ავტონომიური ოლქის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან, არამედ ასევე ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინტელიგენციასთანაც. ჩემთვის, უბრალოდ, სასიამოვნოა იმის გახსენება, რომ ჩრდილოეთ ოსეთის უნივერსიტეტის კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში დაოსტატდა, ბევრ მათგანთან პირადად მე მაკავშირებს გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ჩემზე ნაკლებად არ არიან გაოცებული „ადამონ ნიხასის“ მესვეურთა მცდარი პოზიციებით.

მოტანილი მონაცემებით, რა თქმა უნდა, რაიმე პრეტენზიებს არ ვუყენებ საქართველოში მცხოვრებ ოს მოსახლეობას. ჩვენ მათთან ერთად გვიცხოვრია და კვლავაც ვიცხოვრებთ მეგობრულად. ცნობები მოვიტანე მხოლოდ ოს ექსტრემისტთა და მათ მხარდამჭერთა ცრუ მოსაზრებათა საპირისპიროდ, რადგან არ შეიძლება სიცრუის ქადაგება. ჭეშმარიტება კი ის არის, რომ ქართული ქალაქი ცხინვალი ჩვენ თვალწინ ოსებმა დაიკავეს და ქართველებს იქ აღარ დაედგომებათ. დიახ, თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, მოხდა შემდეგი: უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ოსები მასობრივად ჩასახლდნენ უძველეს ქართულ ქალაქ ცხინვალში. ეს მოხდა მას შემდეგ, როცა 1922 წელს მაშინდელმა ბოლშევიკმა ლიდერებმა, ქართველი ხალხის ნება-სურვილის გარეშე და ყოველგვარი ობიექტური საფუძვლის ანგარიშგაუწევლად უკანონოდ შექმნილი ავტონომიური ოლქის მთავარ ცენტრად ცხინვალი გამოაცხადეს. მანამდე საერთოდ არ არსებობდა არავითარი სამხრეთ ოსეთი. ავტონომიისა და მისი მთავარი ქალაქის მესვეურებმა მთელი ძალაუფლება გამოიყენეს ცხინვალის ოსურ ქალაქად გადაქცევაში, რადგან მიწებს ურიგებდნენ თავისი ეროვნების ხალხს. ამით გათამამებული ექსტრემისტები იმდენად შორს წავიდნენ, რომ საქართველოდან გამოყოფა მოითხოვეს.

ახლა ვეკითხები ოს ექსტრემისტებს და მათ რუს მფარველებს: როგორ შეხვდებოდა რუსი ერი იმ ფაქტს, რომ მათი ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ქალაქი და მისი მიმდებარე სოფლები რომელიმე უცხო ტომის ხალხს დაეკავებინა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე, მინიჭებული ავტონომიით არ დაკმაყოფილებულიყო ეს ხალხი და იქ დამოუკიდებელი, თუნდაც საბჭოთა რესპუბლიკა გამოეცხადებინა? შეურიგდებოდა ამას თუნდაც ერთი საღად მოაზროვნე რუსი ადამიანი?

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ოსი ექსტრემისტები პირველ ყოვლისა ცუდ სამსახურს უწევენ თავის ხალხს, რადგან უნდოათ ერთმანეთს წაკიდონ ოსები და ქართველები, რაც სიკეთეს არ მოუტანს არც ერთ მხარეს. მათი მოქმედება თვით ოსი ხალხის მტრების წისქვილზე ასხამს წყალს თუნდაც იმიტომ, რომ აკანონებს კარგად ცნობილ ტაქტიკას — „დაანაწევრე და იბატონე“.

ვახტანგ ჟაოშვილი

მინაწერი: წერილი გამზადებული იყო დასაბეჭდად, როცა გაზეთ „იზვესტიაში“ (№ 37) გამოქვეყნდა ოსი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის მიმართვა, რომელშიაც სიტუაცია ისეა დახასიათებული, თითქოს შიდა ქართლში მომხდარი ამბები ასახავდეს საქართველოში მცხოვრები ოსების რუსეთზე ორიენტაციას. ჯერ ერთი, მიმართვის ავტორებს ტყუილად ჰგონიათ, რომ ექსტრემისტების აზრს იზიარებს რესპუბლიკის ოსი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი; მეორეც, ვინ მიანიჭა ოს ექსტრემისტებს იმის უფლება, რომ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ტერიტორია დაიკავონ და შემდეგ მოითხოვონ ამ ტერიტორიის სხვა ქვეყნისთვის გადაცემა? ეს ხომ ანექსიის შენიღბული ფორმაა და ამიტომაც პოულობს იმპერიული ძალების მხარდაჭერას.

განმარტება

სატრანსპორტო საშუალებათა გამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის

ამ დღეებში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი, რომელმაც გაამკაცრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის. „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტის თხოვნით ამ კანონს განმარტავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ალექსანდრე შუშანაშვილი.

სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება წარმოადგენს მეტად გავრცელებულ და საშიშ დანაშაულს. გასულ წელს რესპუბლიკაში აღრიცხულია სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების რვაასამდე შემთხვევა, რაც ერთიორად აღემატება წინა წლის მონაცემებს. მიმდინარე წლის იანვარში ამ დანაშაულის შესახებ აღძრულია სისხლის სამართლის 97 საქმე. სამწუხაროდ, ეს შთამბეჭდავი ციფრებიც არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას. საქმე ისაა, რომ დაზარალებულები ხშირ შემთხვევაში არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, უშუალოდ დამნაშავეებთან ამყარებენ კავშირს და გარკვეული გამოსასყიდის გადახდითა თუ სხვა სახის გარიგებით იბრუნებენ გატაცებულ ტრანსპორტს. რასაკვირველია, ეს მდგომარეობა არ ამშვენებს სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც ვალდებული არიან დაზარალებულთა მიმართვისა და საჩივრის გარეშეც გამოავლინონ ჩადენილი დანაშაული, კანონით დადგენილი წესით აღძრან საქმე, დაადგინონ და დასაჯონ დამნაშავე.

არც თუ იშვიათად სატრანსპორტო საშუალებას იტაცებს მთვრალი ან მართვის უფლების არმქონე პირი, რაც ქმნის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევის უდიდეს საფრთხეს. სატრანსპორტო საშუალებათა ინტენსიური ზრდა, ქუჩებში და გზებზე მოძრაობის გართულება მოითხოვს ფხიზელ გონებას, მაღალ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას. გატაცებული ტრანსპორტით მოძრაობის საფრთხე დიდია მაშინაც, როდესაც გამტაცებელი სრულიად ფხიზელ და ტრანსპორტის მართვას კარგად დაუფლებულია. გამტაცებელს ტრანსპორტის მართვა უხდება განსაკუთრებული ემოციური დატვირთვის პირობებში. შეპყრობის შიშით გამოწვეული მღელვარება, საიმედო ადგილზე დროზე მიღწევის სურვილი, გატაცებული ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის უცოდინარობა და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები ხშირად იწვევს ავარიას, ადამიანთა მსხვერპლს, სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანებას. მარტო გასულ წელს გატაცებული ტრანსპორტით მოხდენილ ავარიებში ოცზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

აღნიშნული და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და გააქტიურების მიზნით რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 30 იანვარს მიიღო კანონი, რითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლში, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის. ყველაზე არსებით სიახლეს წარმოადგენს ის, რომ დანაშაულის ძირითადი შემადგენლობიდან ამოღებულია გატაცების მიზანი. ადრე მოქმედი რედაქციით აღნიშნული მუხლით ისჯებოდა სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება დროებით გამოყენების მიზნით. ახალი კანონით მნიშვნელობა არა აქვს გატაცების მიზანს. 243-ე მუხლით დაისჯებიან სატრანსპორტო საშუალებათა გატაცების ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზანი ამოძრავებდა დამნაშავეს.

აღნიშნული საკანონმდებლო სიახლის უფრო ნათლად წარმოდგენისათვის ცოტა რამ ისტორიიდანაც გავიხსენოთ. დროებით გამოყენების მიზნით სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება ცალკე შემადგენლობად ჩამოყალიბდა სამოციან წლებში, როცა ავტომოტოტრანსპორტი ფუფუნების საგნად ითვლებოდა და მისი მართვა თუ გასასეირნებლად გამოყენება დიდ ცდუნებას წარმოადგენდა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისათვის. რასაკვირველია, ცალკე შემადგენლობად ჩამოყალიბებამდეც იტაცებდნენ სატრანსპორტო საშუალებებს დროებით გამოყენების მიზნით და ასეთი მოქმედების ჩამდენს არც მაშინ უსვამდნენ თავზე ხელს. იმ დროს სისხლის სამართალში მოქმედებდა კანონის ანალოგია და ასეთ მოქმედებას ან ხულიგნობის მუხლით აკვალიფიცირებდნენ, ან საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად თვლიდნენ. ორივე შემთხვევაში ხდებოდა უსამართლობა, კვალიფიკაცია და სასჯელი არ შეესაბამებოდა დანაშაულის ბრალის ხასიათსა და შინაარსს. ხულიგნობის დროს დამნაშავეს ამოძრავებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მოტივი, ხოლო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია მითვისების მიზნის არსებობა. ამ შეუსაბამობის აღსაკვეთად და იმის გამოც, რომ სისხლის სამართალში ანალოგია გაუქმდა, მითვისების მიზნის გარეშე სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება ცალკე დანაშაულის სახით შევიდა სისხლის სამართლის კოდექსებში. საგულისხმოა, რომ თავდაპირველად ამ დანაშაულისათვის სასჯელის მაქსიმალურ ზომად დაწესებული იყო გამასწორებელი სამუშაოები, მაგრამ მალე თითქმის ყველა რესპუბლიკამ კოდექსში შეიტანა ცვლილებები, გააფართოვა სატრანსპორტო საშუალებათა წრე და გაამკაცრა სასჯელები.

ბოლო დროს აღნიშნული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დამდგენმა ნორმამ მიიღო სხვანაირი სოციალური დატვირთვა. სატრანსპორტო საშუალებებს ამჟამად, როგორც წესი, იტაცებენ მითვისების ან დაზარალებულისაგან ქონებრივ გამორჩენის მიღების მიზნით. ამ დანაშაულის ცალკე შემადგენლობად დატოვება კი ნაკარნახევია იმით, რომ სატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს და მისი გატაცების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი ხშირ შემთხვევაში აღემატება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საშიშროებას.

ანალოგიური მიზეზით არის ცალკე შემადგენლობად გამოყოფილი საჭაერო ხომალდის, ცეცხლსასროლი იარაღის, ნარკოტიკული ნივთიერებისა და მთელი რიგი სხვა საკუთრების უფლებით მოცული და დაცული ღირებულებების გატაცება.

საკანონმდებლო განახლების შემდეგაც საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლი კვლავ სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა, განმარტებულია სატრანსპორტო საშუალებათა ცნება, გამკაცრებულია სასჯელის ღონისძიება. ადრე თუ ავტომოტოტრანსპორტის საშუალებათა ან სხვა თვითმავალი მანქანების გატაცება დროებით გამოყენების მიზნით ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით. ამჟამად სატრანსპორტო საშუალების, ესე იგი ყველა სახის ავტომობილის, ტრაქტორის და სხვა თვითმავალი მანქანის, ტრამვაი-ტროლეიბუსის, აგრეთვე მოტოციკლის და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გატაცება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

მეორე ნაწილში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია: განმეორება, ტექნიკური საშუალების გამოყენება, სიმთვრალე, მართვის უფლების უქონლობა და დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. ამ გარემოებების ან თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არსებობის შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების გატაცება დაკვალიფიცირდება მეორე ნაწილით და დამნაშავე შეიძლება დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებებს ძველი რედაქციაც ითვალისწინებდა, მაგრამ სასჯელის ზომად დაწესებული იყო ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. გარდა ამისა, დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, რაც საშიში არ იყო დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა ჩამოყალიბებული იყო მესამე ნაწილად და ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე. ამჟამად მესამე ნაწილით დაკვალიფიცირდება სატრანსპორტო საშუალებათა ისეთი გატაცება, რომლის დროსაც გამოყენებული იყო ძალადობა ან მუქარა, ანდა რასაც მძიმე შედეგი მოყვა. ასეთი მოქმედებისათვის სასჯელის ზომად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება ნიშნავს მის დაუფლებას, კანონიერი მესაკუთრის მფლობელობიდან ამოღებას და განკარგვას. ამასთან, დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, გადააადგილა დამნაშავემ გატაცებული ტრანსპორტი თუ მესაკუთრის მიერ გაჩერებულ ადგილას დაეუფლა მას. გატაცებას არ წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების გამოყენება მესაკუთრის ოჯახის წევრების მიერ, აგრეთვე თვითნებური გამოყენება იმ პირის მიერ, ვის სამსახურებრივ განმგებლობაშიც იმყოფება მოცემული ტრანსპორტი.

სატრანსპორტო საშუალების გატაცება განმეორებითად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს ადრეც ჰქონდა ჩადენილი ანალოგიური დანაშაული. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა იგი მსჯავრდებული წინა დანაშაულისათვის. რასაკვირველია, განმეორება გამორიცხულია, თუ ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა გაქარწყლებულია ან გასულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები.

პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმება ნიშნავს დანაშაულის ჩადენამდე ორი ან მეტი პირის მოლაპარაკებას და შეთანხმებას ამ დანაშაულის ერთობლივად ჩადენის შესახებ. თუ სატრანსპორტო საშუალების გატაცებამდე ასეთი შეთანხმება მოხდა, დამნაშავენი ერთობლივად აგებენ პასუხს მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიტაცა ფაქტობრივად ან ვინ მართავდა გატაცებულ ტრანსპორტს.

ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ნიშნავს დანაშაულის ჩადენას ან გაადვილებას სპეციალური საგნის, ინსტრუმენტისა თუ მოწყობილობის მომარჯვებითა და გამოყენებით. ტექნიკური საშუალების გამოყენებით ავტომანქანის გატაცება იქნება, მაგალითად, თუ დამნაშავემ მორგებული გასაღებით გააღო ძარის კარი, სადენების სპეციალური მოწყობილობის შეერთებით აამუშავა ძრავა, მაკრატლით გადაჭრა სიგნალიზაცია, მისაბმელი საშუალებით გაათრია ავტომანქანა მოსახერხებელ ადგილას და ა. შ.

მთვრალ მდგომარეობაშია ის პიროვნება, რომელსაც მიღებული აქვს ალკოჰოლური ან სხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერება. დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს სიმთვრალის ხარისხს. არც ის არის აუცილებელი, რომ მთვრალ მდგომარეობაში მყოფი უშუალოდ მართავდეს გატაცებულ ტრანსპორტს. სიმთვრალის მდგომარეობა დგინდება საექიმო შემოწმებით ან ექსპერტის დასკვნით.

მართვის უფლების არმქონედ ითვლება ის, ვისაც არა აქვს ან ჩამორთმეული აქვს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოების მიერ გაცემული მოწმობა მოცემული სახის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შესახებ.

ძალადობის გამოყენება ნიშნავს ცემას, სხეულის დაზიანებას და სხვა ისეთ მოქმედებას, რაც ხელყოფს დაზარალებულის ხელშეუხებლობას, საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მუქარა შეიძლება იყოს ძალადობის გამოყენების ან სხვა ისეთი სახისა და შინაარსის, რაც დაზარალებულზე ახდენს ფსიქიკურ ზემოქმედებას და აიძულებს მას შეასრულოს საკუთარი ნების საწინააღმდეგო მოქმედება. რაც შეეხება მძიმე შედეგს, მისი განსაზღვრა დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. მძიმე შედეგს წარმოადგენს, მაგალითად მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენება, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმიანობისათვის ხელის შეშლა, დაზარალებულის სიკვდილი, ფსიქიკის მყარად მოშლილობა და ა. შ. რასაკვირველია, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისას დამოუკიდებელი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობით. თუ, მაგალითად, ტრანსპორტის გატაცებისას დამნაშავემ მოკლა დაზარალებული, იგი პასუხს აგებს ტრანსპორტის გატაცებისათვისაც და მკვლელობისთვისაც.

ასეთია, მოკლედ, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები და დამატებები. რასაკვირველია ამ საკანონმდებლო სიახლეებს დიდი შედეგი და ეფექტი არ ექნება, თუ ვერ იქნა უზრუნველყოფილი მათი პრაქტიკული განხორციელება, თუ ყველა არ განიმსჭვალა მათი განუხრელად დაცვის სულისკვეთებით. საჭიროა აგრეთვე ძირეულად გარდაიქმნას და გაუმჯობესდეს ტრანსპორტის მოვლა-პატრონობა, ავტოფარეხების ქსელის გაფართოება, სატრანსპორტო საშუალებათა დამცავი მოწყობილობით აღჭურვა, განხორციელდეს კონკრეტული აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური ღონისძიებები ამ საშიში დანაშაულის აღსაკვეთად.

ლტოლვილები მშვიდობიან დროს

თბილისი კვლავ იღებს ლტოლვილებს სამაჩაბლოდან, მათთვის დახმარების გაწევის ორგანიზაცია იკისრა სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოებამ, რომელთანაც შეიქმნა „სამაჩაბლოს აღორძინების“ სპეციალური შტაბი.

...მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე №40 სახლში ხალხმრავლობაა. აქ მოდის ყველა, ვისაც მოუწია ბოლომდე შეესვა ქართველთა და ოსთა შორის წამოჭრილი კონფლიქტის შედეგად გაჭირვების მწარე ფიალა, კონფლიქტისა, რომელიც იქცა შეიარაღებულ შეტაკებად მშვიდობიან დროს. მშობლიური ადგილებიდან აყრილი, დაჭრილი, დაშინებული, მშიერი, სანახევროდ შიშველი ქართული ოჯახები, ან, როგორც მათ ვუწოდებთ ხოლმე, ლტოლვილები, ჩამოვიდნენ აქ იმათთან, ვინც იზიარებს მათ ტკივილსა და ტანჯვაწამებას.

ჩვენ ვესაუბრებით სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს დიანა მაჩაბელს.

— საზოგადოებასთან „სამაჩაბლოს აღორძინების“ შტაბის შექმნის იდეა ახალი არ არის. იგი ჩაისახა ცხინვალსა და მახლობლად მდებარე რაიონებში მომხდარი საგანგაშო ამბების პირველი დღეებიდანვე. უკვე თითქმის თვეა დახმარებას ვუწევთ ლტოლვილებს. ისინი კი ცოტანი როდი არიან — რამდენიმე ათასი კაცი, მათი ნაკადი კი სულ უფრო მატულობს და მატულობს. ისინი დავაბინავეთ თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების სასტუმროებში. თავისი შენობები ლტოლვილებს დაუთმო რამდენიმე პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებელმა, გამოყოფილია ადგილები დიდ სამკურნალო დაწესებულებებში, სანატორიუმებში, საკურორტო ზონებში. მათ პირველ რიგში სამედიცინო დახმარება ეწევათ. ლტოლვილთა შორის ხომ მრავლად არიან ავადმყოფები, ბავშვები, მოხუცები, აგრეთვე ადამიანები, რომლებმაც ნერვული სტრესი გადაიტანეს. მათ უსასყიდლოდ გამოუყოფენ მედიკამენტებს, ტანსაცმელს, სურსათ-სანოვაგეს, რომლებიც რესპუბლიკის მოსახლეობაში შეგროვილია. დასაქმებული ვართ აგრეთვე იმ ადამიანების დროებითი შრომითი მოწყობით, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო საწარმოებში და დაწესებულებებში შექმნილი ვითარების გამო. მრავალი ბავშვი გავგზავნეთ საბავშვო ბაღებში, ბაგებში, სკოლებში. ხანდაზმულთ და პენსიონერებს დავეხმარეთ პენსიების დროულად მიღებაში.

— **მხარს თუ უჭერს მოსახლეობა თქვენს კეთილშობილურ მისიას?**

— რა თქმა უნდა. მხარდაჭერას ვგრძნობთ ყოველდღიურად, ყოველ წუთს. ჩვენი მისამართით უწყვეტ ნაკადად მოდის წერილები, გვიგზავნიან ფულს რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. ხალხი აღშფოთებულია ოსი ექსტრემისტების და მათი მფარველების დანაშაულებრივი მოქმედებით. ჩვენს შტაბში არაერთხელ ყოფილა მრავალი ორგანიზაციის, მათ შორის საწარმოების, სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტის, კოოპერატივების სავაჭრო და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები. სასიხარულოა, რომ ისინი მოდიან არა მარტო იმისთვის, რომ შეისწავლონ ვითარება, არამედ რიცხავენ კიდეც მატერიალურ სახსრებს ლტოლვილთა ანგარიშზე. თბილისის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მრავალმა ქართულმა ოჯახმა გამოთქვა სურვილი შეიკედლონ ბავშვები, უპატრონონ მარტოხელა და ავადმყოფ ადამიანებს.

— **და როდემდე იმოქმედებს შტაბი?**

— სანამ ვითარება არ მოგვარდება სამაჩაბლოში და დამნაშავენი არ დაისჯებიან. მაშინ ლტოლვილები შეძლებენ შინ დაბრუნებას, განაგრძობენ მშვიდობიან ცხოვრებას მშობლიურ მიწაზე, საიდანაც დღეს ისინი განდევნილი არიან. გაცნობებთ, რომ მსურველებს შეუძლიათ ივანე მაჩაბლის ფონდში ფული გადმორიცხონ ქალაქ თბილისის მრეწველმშენბანკის საოპერაციო სამმართველოს №000700909 საანგარიშსწორებო ანგარიშზე, შემდეგი მისამართით: ჯორჯიაშვილის ქუჩა, №14.

საუბარს უძღვებოდა
მანანა აბაზაძე,
საქინფორმის კორ.

ბალტიის ქვეყნები

საქართველო-ლიტვა: ჰუმანიტარული დახმარება

ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა უხეში სამხედრო აქციის შედეგად დაზარალებული ლიტველი ხალხის უბედურებას. საქართველოს წითელი ჯვრის ორი თვითმფრინავით ვილნიუსში ჩაიტანეს ათი ტონა ტვირთი, კერძოდ ხილი, წვენები, ჯემები, ფქვილი. ჰუმანიტარულ დახმარებაში მონაწილეობდნენ მშვიდობის ფონდი, ცეკავშირი, საქტრანსგაზი, საქნავთობი, საზოგადოება „ზვიადაური“.

შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა ვილნიუსში აეროპორტში თვითმფრინავი დაჯდა. ვერც გვიანმა დრომ და ვერც ყინვამ ვერ შეუშალა ხელი გულითად შეხვედრას. სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტის ქარავანი პირდაპირ მიადგა თვითმფრინავს და ლიტვის წითელი ჯვრის მუშაკებმა დროის დაუკარგავად დაიწყეს მისი დაცლა.

ინტერვიუ ჩამოვართვი ლიტვის რესპუბლიკის სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს როზა მაგენეს:

— მადლობას მოვახსენებთ ქართველ ხალხს ჩვენთვის ესოდენ დრამატულ დროს რომ დაგვეხმარა. ჩამოტანილ პროდუქტებს მივიტანთ ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლებში, სპეციალურ სკოლებში, სადაც სხვადასხვა გადახრის მქონე ბავშვები სწავლობენ.

ნახევარი საათის ინტერვალით აეროპორტში დაჯდა საქართველოს მეორე თვითმფრინავი. და ისევე გამართულად, როგორც პირველ შემთხვევაში, განხორციელდა ოპერატიული განტვირთვა. თავისი ხელქვეითების მუშაობას კოორდინაციას უწევდა ლიტვის წითელი ჯვრის თანამშრომელი იუოზას კამარაუსკასი.

— თქვენი დახმარება დღეს ძალიან გვჭირდება. იმის მიუხედავად, რომ ლიტვას ბევრი ქვეყანა ეხმარება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპისა, მაინც გვაკლია სამხრეთული ხილი და ნატურალური წვენები. ძალიან კარგია, რომ ასეთი ვიტამინიანი პროდუქცია ჩამოგვიტანეთ. ახლა წითელი ჯვრის პუნქტების მეშვეობით მას რესპუბლიკის საავადმყოფოებს დავურიგებთ.

იმავე დღეს ლიტვის რესპუბლიკის წითელ ჯვარში გაიმართა საქართველოსა და ლიტვის წითელი ჯვრის ორგანიზაციათა თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა. აი, რა უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ ლიტვის წითელი ჯვრის თავმჯდომარემ იუოზას შაპოკამ.

— საქართველოს ჰუმანიტარული დახმარება ჯერ კიდევ შარშან ვიგრძენით, როცა ლიტვა ეკონომიკურ ბლოკადაში აღმოჩნდა. მაშინ თქვენი რესპუბლიკა პირველი დაგვეხმარა. ეს მაშინ ორ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის იშვიათი ფორმა იყო. დღეს კი, ცენტრისაგან დამოუკიდებლები რომ გავხდით, ჩვენმა ორგანიზაციებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც რეგულარულად ვითანამშრომლებთ, დავნერგავთ ყოველივე ახალს, რაც ჩვენს ხალხებს წაადგება.

ახლა დაძაბულად ვმუშაობთ. სულ სისხლიანი ამბების შემდეგ მოგვმართა 600-ზე მეტმა კაცმა. ამასთან დაახლოებით 350 ისინი არიან, ვისაც დაუზიანდა სმენა ტანკების ზალპების დროს. 30 კაცი მძიმე მდგომარეობაში ვილნიუსის საავადმყოფოებშია. ჩვენი წითელი ჯვარი თვით დაზარალებულებსა და მათ ოჯახებს რეგულარულ და მუდმივ დახმარებას უწევს. გულმოწყალება, რომელშიც დღეს თქვენც მონაწილეობთ, მეტად მნიშვნელოვანია. იგი ხელს შეუწყობს ჩვენი მეგობრობის კეთილ საქმეს.

პაატა არჩვაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.
ქ. ვილნიუსი.

სურათებზე: თვითმფრინავის განტვირთვა ვილნიუსის აეროპორტში.

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტის
ანატოლი რუხაძის ფოტო

ლიტველი ლიდერები პლებისციტის შესახებ

ლიტვაში მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიო. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტი“, რომელიც ბოლო ხანს დიდძალ მასალებს ბეჭდავს საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებზე, აღნიშნავს, რომ ლიტველები არ დაემორჩილნენ მოსკოვს და ხმების დიდი უმრავლესობით მხარი დაუჭირეს რეფერენდუმის ჩატარებას საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მიზნით. ამავე დროს ლიტვის ეთნიკურმა უმცირესობამ, პოლონელებმა, რომლებიც რესპუბლიკის მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენენ, ძირითადად ბოიკოტი გამოუცხადეს დამოუკიდებლობისათვის ხმის მიცემას. ლიტვის პრეზიდენტმა ლანდსბერგისმა განაცხადა, რომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა პროპაგანდის აქტიურმა მოქმედებამ განაპირობა პოლონელთა ასეთი საქციელი. ლიტვის დამოუკიდებლობის მომხრე პოლონელმა აქტივისტებმა განაცხადეს, რომ ისინი ძლიერ ზეგავლენას განიცდიდნენ პარტოკრატიის მხრივ, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ მნიშვნელოვანი ძალაუფლება ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლექტიურ მეურნეობებში. ზოგი პოლონელი კი სკეპტიკურად არის განწყობილი ლიტვის მთავრობის დაპირებების მიმართ.

„ვაშინგტონ პოსტი“, ეყრდნობა რა თავისი კორესპონდენტის პიტერ მერსის ვილნიუსიდან გადაცემულ ცნობებს, აღნიშნავს, რომ ლიტვის ხელისუფლება ჯერჯერობით არაფერს ამბობს რეფერენდუმის შედეგებზე. ამ რეფერენდუმზე კი გამოჩნდა მოსახლეობის არნახული მხარდაჭერა. ახლა ისმის კითხვა: რა უნდა გავაკეთოთ ამ უზარმაზარი გამარჯვებით? — განაცხადა ლიტვის ერთ-ერთმა კანონმდებელმა.

პრეზიდენტმა ლანდსბერგისმა ბრძანა, რომ რეფერენდუმისათვის ლიტველების დიდი მხარდაჭერის მიუხედავად ლიტვას მაინც არ გააჩნია რაიმე ეფექტური საშუალება, რომ მოსკოვზე ზეგავლენა მოახდინოს და არც იმის საშუალება აქვს, რომ შეაჩეროს მოსკოვი, რათა მან თავს არ მოახვიოს საკუთარი მმართველობა.

ჩვენი შემდგომი ნაბიჯის გადადგმა დამოკიდებულია ჩვენს საკუთარ სურვილზე და არა საბჭოთა კავშირზე, განაცხადა ლიტვის ვიცე-პრეზიდენტმა. პლებისციტმა შესაძლოა დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლების მხრიდან მოსკოვზე ზეგავლენა გამოიწვიოს. მე არ გამოვრიცხავ ძალადობას ან სამხედრო ძალების გამოყენებას, მაგრამ ამჟამად კრემლი უფრო ძნელ პოზიციაშია, ვიდრე ლიტვის მოსახლეობის გამოკითხვამდე იყო.

„ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ რეფერენდუმის შედეგების მიმართ დღემდე მოსკოვის მხრიდან არ ყოფილა ოფიციალური შეფასება ან გამოხმაურება.

საზღვარგარეთ

კონფერენცია ოსლოში

ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში ა. წ. 29 იანვრიდან 3 თებერვლამდე მიმდინარეობდა კონფერენცია, რომლის ორგანიზატორი იყო ნორვეგიის ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტი. კონფერენციას ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი ეიდე.

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი **ირაკლი მელაშვილი.**

კონფერენცია ეხებოდა აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ეროვნულ უმცირესობათა პრობლემებს და მათი გადაწყვეტის გზებს. ფაქტობრივად, ეს კონფერენცია იყო ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი მომავალი კონფერენციისა, რომელიც გაიმართება ჟენევაში ივლისში, გაეროს ეგიდით. მასზე განიხილავენ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს. ამ კონფერენციაზე პირველად იყვნენ მიწვეული სსრ კავშირში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები. ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით წმინდა თეორიული მსჯელობის გარდა განიხილეს საკითხები, მათ შორის:

1. იუგოსლავიაში შექმნილი სიტუაცია;
2. ბულგარეთში თურქული უმცირესობა;
3. რუმინეთში ეროვნული უმცირესობა;
4. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი;
5. საქართველოს ეროვნული უმცირესობანი.

მე-6 საკითხად დაემატა ბალტიისპირეთის სიტუაცია.

პირველი ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საერთო პლენარული სხდომები, რომლებზეც ყურადღება გამახვილებული იყო აღმოსავლეთ ევროპასა და სსრ კავშირში მიმდინარე პროცესებსა და ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ საზოგადოებაში გადასვლის პირობებზე, ადამიანის უფლებების, კერძოდ, ეროვნული უმცირესობების უფლებების საკითხებთან დაკავშირებით შექმნილ სირთულეებზე.

კონფერენციას ესწრებოდნენ გაეროს საგანგებო ქვეკომისიის წევრები, რომლებიც სწორედ ეროვნული უმცირესობის საკითხებზე მუშაობენ, ხოლო ბატონი ეიდე წელს უნდა წარსდგეს მოხსენებით გაეროს ქვეკომისიის წინაშე აღმოსავლეთ ევროპასა და სსრ კავშირში მიმდინარე პროცესების შესახებ.

სხდომებზე წარმოდგენილმა მოხსენებებმა დაგვანახვა, რომ დასავლეთის დამოკიდებულება სსრ კავშირში მიმდინარე პროცესებისადმი მნიშვნელოვნად იცვლება, თუმცა ჯერ კიდევ რჩება ძალიან ფრთხილი დამოკიდებულება რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ურთიერთობების განხილვისას. აღინიშნა, რომ საჭიროა შემუშავდეს რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ურთიერთობის საგანგებო რეკომენდაციები. გარდა ამისა, ეროვნულ უმცირესობათა საკითხთან დაკავშირებით შეუწყნარებლად მიიჩნიეს მათი გამოყენება რესპუბლიკებში არჩეული ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ხაზი გაესვა იმასაც, რომ მიუხედავად ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრის საკითხის სირთულეებისა, ბევრი რამ ინსპირირებულია თვითონ ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომ ამ პრობლემის გადაჭრაზე ძალიან ცუდად მოქმედებს ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის იურიდიული წინააღმდეგობები, კერძოდ, რესპუბლიკის კანონმდებლობის მიმართ საკავშირო კანონების პრიორიტეტულობის ცდები.

შემდეგ დღეს შეიქმნა 5 კომისია, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ექვს საკითხს შეისწავლიდა.

ცალკე კომისია გამოიყო კავკასიაში შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით. კომისიის სხდომის პირველი ნაწილი დაეთმო სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს, მეორე ნაწილი — საქართველოს. კომისიების წევრთათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ისტორიულად საქართველოსათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების წარმომადგენელთა მშვიდობიანი თანაარსებობა, კულტურული ავტონომია, რომელიც ეროვნულ უმცირესობებს ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოში სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შეუძლიათ საშუალო და უმაღლესი განათლება მიიღონ 6 ენაზე, რომ ამ ენებზე გამოდის გაზეთები, იბეჭდება წიგნები, არის თეატრები, ფოლკლორული ანსამბლები და სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები. კომისიამ აღნიშნა, რომ სსრ კავშირის არსებობის პირობებში ეს უპრეცედენტო მოვლენაა და რომ საქართველოში გარანტირებულია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ის მინიმალური სტანდარტები, რომლებსაც გაერო მოითხოვს ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსგან.

საქართველოს წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში, რა თქმა უნდა, არსებობდა სირთულეები ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში, რადგან ჩვენ ვიყავით სსრ კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინება დაუკავშირდა ადამიანის უფლებების დაცვის გააქტიურებას. თუმცა დღევანდელი ვითარება არც ერთ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული მხოლოდ ამ პრობლემების გადაწყვეტაზე. უწინარეს ყოვლისა აღინიშნა, რომ მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში საზოგადოება განიცდიდა სოციალურ და ეკონომიკურ სირთულეებს, სახელმწიფოში არ არსებობდა თავისუფალი აზრის გამოთქმის ინსტიტუტი. ამან გამოიწვია საზოგადოებაში დაძაბულობის ესკალაცია, რამაც დესტაბილიზაციის საშიშროება შექმნა.

80-იანი წლების მიწურულს დაწყებულმა ლიბერალიზაციამ ვერ გადაჭრა არსებული პრობლემები. ხალხმა ჯერჯერობით ვერ შეძლო გათავისუფლებულიყო ტოტალიტარული აზროვნებისაგან, ვერ მიიღო პასუხი ცხოვრების მიერ დასმულ მრავალ კითხვაზე. დაიწყო ყველა ახლანდელი უბედურების მიზეზთა (ან ავტორთა) ძიება. ძალიან სწრაფად ამოქმედდა ძველი სტერეოტიპი. ათწლეულების მანძილზე საბჭოთა ადამიანის შეგნებაში სისტემატურად ქმნიდნენ ყველა უბედურებაში დამნაშავე „მტრის სახეს“. ეს მეთოდი გამოიყენებოდა „პერესტროიკის“ დროსაც. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენტრშიც და ადგილზეც კვლავ რჩებოდა მმართველი ელიტის ხელში. კარგად ამუშავებულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ ადვილად შეძლო მის წინაშე დასახული ამოცანის შესრულება ზოგიერთ რესპუბლიკაში. პერესტროიკის დროს აღმოცენებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები მიიჩნიეს ყველა უბედურებათა მიზეზად. ცენტრშიც და რესპუბლიკებშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დაიწყეს სხვადასხვა დემოკრატიულ მიმართულებათა ლიდერების „მხილება“ და მათი დადანაშაულება რესპუბლიკებში შოვინისტური და ნაციონალისტური რეჟიმების დამყარებისაკენ მისწრაფებაში. საბჭოთა ადამიანისათვის ჩვეული მომავლის შიშის კომპლექსი კიდევ უფრო გაუძლიერდათ მცირერიცხოვანი ერების წარმომადგენლებსა და თავისი რესპუბლიკების ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ადამიანებს. პერესტროიკის გამოცხადებამ ვერ უზრუნველყო ადამიანები თავის იურიდიულ და სხვა უფლებათა გარანტიებით.

განსაკუთრებით ძლიერდება დაპირისპირება სსრ კავშირის ახლებური პოლიტიკური მოწყობის საკითხის განხილვისას. ზოგიერთ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა, უგულებელყვეს რა რესპუბლიკათა ტერიტორიული მთლიანობა, მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე სცადეს შეექმნათ ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირებანი. ასეთი ცდები იყო მოლდოვეთში (ე. წ. გაგაუზებისა და დნესტრისპირეთის რესპუბლიკები), ლიტვაში (პოლონური ავტონომიის საკითხი), ესტონეთსა და ლატვიაში (რუსული ავტონომიის საკითხები), საქართველოში კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა თავი სსრ კავშირში შემავალ სუვერენულ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, მოლდოვეთი და საქართველო იღვწიან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამ რესპუბლიკებში პარტოკრატია დამარცხდა. ეს ფაქტი ადვილად ხსნის „ინტერფრონტების“ სათავეში პარტიული ფუნქციონერების მოსვლას. ზოგიერთ რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა კანონიერ მთავრობებთან დაპირისპირება ცენტრალური ხელისუფლებისა და პარტოკრატიის უპირველესი ამოცანა გახდა.

საქართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება მიესალმება სსრ კავშირში დაწყებულ სუვერენიზაციის პროცესებს, თუმცა შესაძლებელია ნებისმიერი კარგი იდეის გააბსურდება. ყველა ერს აქვს უფლება დამოუკიდებლობისა, მაგრამ თუ ერს უკვე აქვს თავისი სახელმწიფოებრიობა, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ წარმომადგენლებს არ შეუძლიათ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოთხოვნა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ ხალხის უფლებებმა არ უნდა ხელყოს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ოსებს აქვთ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლება და ეს უფლება გარანტირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ კომისია ძირითადად დააკმაყოფილა საქართველოში მიმდინარე პროცესების ახსნამ. საბოლოო გაერთიანებულ პლენარულ სხდომაზე, სადაც ჯამდებოდა კომისიებში მუშაობის შედეგები, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოში შექმნილი სიტუაცია კარდინალურად განსხვავდება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტისაგან და რომ ბევრი მოვლენა საქართველოში დაკავშირებულია ცენტრის ცდებთან — შეაჩეროს რესპუბლიკის სვლა დამოუკიდებლობისაკენ.

საქართველოს წარმომადგენელმა საგანგებოდ აღნიშნა ის ფაქტი, რომ მთელ რიგ საერთაშორისო კონფერენციებზე ხელი მოწერილი აქვს სსრ კავშირს, რომ სსრ კავშირში მიმდინარე პროცესების შესახებ მოხსენებებით მხოლოდ საკავშირო ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიან, ხოლო ამ მოხსენებებს საფუძველზე პასუხს ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ სთხოვენ რესპუბლიკებს. სსრ კავშირი, როგორც დაინტერესებული მხარე, არ შეიძლება იყოს მიუკერძოებელი თავის დასკვნებში. ასე ყალიბდება ის ინფორმაცია, რომელსაც იგი ავრცელებს. ამიტომ ჩვენი მოთხოვნა ლოგიკურია — ან მოისმინონ საქართველოს წარმომადგენლების აზრი რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ან პასუხი მოსთხოვონ ადამიანის უფლებების დარღვევისათვის არა საქართველოს, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებას. ჩვენ არა ვართ პასუხისმგებელი იმ განცხადებებისთვის, რომლებსაც აკეთებენ სსრ კავშირის წარმომადგენლები სხვადასხვა კონფერენციებზე და ხელშეკრულებების დადების დროს.

საქართველოს წარმომადგენელმა მოითხოვა საქართველოში გაეროს, ევროსაბჭოს ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური კომისიის ჩამოსვლა, რომელმაც უნდა შეისწავლოს საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა. როგორც კონფერენციის ორგანიზატორები დაგვპირდნენ, ისინი ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ საქართველოს წარმომადგენლები ოფიციალურად დაუშვან იმ საერთაშორისო კონფერენციებზე, რომლებიც განიხილავენ ეროვნულ უმცირესობათა საკითხებს.

ჩვენი წარმომადგენელი გამოვიდა ინიციატივით, რომ იმ კანონებმა, რომლებსაც მიიღებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და რომელიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ და კულტურულ გარანტიებს, გაიაროს საერთაშორისო ექსპერტიზა. ეს წინადადებანი მოიწონა კონფერენციის კომისიამ, რადგან იგი აღიქვეს, როგორც ფაქტი, რომ საქართველო ცდილობს თავისი კანონმდებლობა და სახელმწიფო წყობა საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დააფუძნოს.

კონფერენციის საბოლოო დოკუმენტის პროექტში ჩვენი წარმომადგენლის ყველა ეს მოთხოვნა დაფიქსირდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე ჩვენს წარმომადგენლობას დიდად ეხმარებოდნენ კონფერენციის ორგანიზატორები, აგრეთვე საკავშირო საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბატონი თემურ რამიშვილი და შვედეთის ვალენბერგის ინსტიტუტში მომუშავე ბატონი ასლან აბაშიძე, რომელიც იქ სტაჟირებაზეა მივლენილი მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტიდან. მათი დახმარებით დამყარდა კონტაქტები დასავლეთის რამდენიმე ქვეყნის ინსტიტუტებთან, გაიმართა მოლაპარაკებანი საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოდან სპეციალისტების სტაჟირებაზე გაგზავნის შესახებ.

იმედი გვაქვს, რომ ეს კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდება და საბოლოო ნაყოფს გამოიღებს, — აღნიშნა ბატონმა ი. მელაშვილმა.

ნორვეგიაში ყოფნის დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაკვირვების შედეგად ნათელი გახდა, რომ სსრ კავშირზე და მის პრეზიდენტზე შეხედულება ნელ-ნელა იცვლება და ძალიან ხშირად გაისმის გორბაჩოვის ახლანდელი პოლიტიკური გზის კრიტიკა, განსაკუთრებით მის საშინაო სფეროში განხორციელებულ ღონისძიებათა მიმართ. უფრო მეტი ყურადღება ეთმობა რესპუბლიკებთან ურთიერთობის დამყარებასა და ამ რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესების შესწავლას.

კვლავ მთავარ ამოცანად რჩება დასავლეთის პოლიტიკაზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდება როგორც დასავლეთის პოლიტიკური წრეებისათვის, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბოლო ხანს მომხდარი ძვრები იმედს გვისახავს, რომ ჩვენი ქვეყნის პრობლემები უფრო სწორად იქნება გაგებული, რაც უეჭველად დაეხმარება საქართველოს საბოლოოდ აღასრულოს ერის ნება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის კონსულტანტი
ჯუმბერ ხუნდაძე.
საქინფორმი

შესაძლოა კონტაქტი დაამყარონ

სირია მზად არის აღიაროს ისრაელის სახელმწიფოს სუვერენიტეტი, რათა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის სამართლიან მოწესრიგებას შეუწყოს ხელი. ამავე დროს ისრაელმაც უნდა ცნოს, რომ საჭიროა პალესტინელ არაბთა სახელმწიფოს შექმნა. მოსალოდნელია, რომ უახლოეს დროში ამ საკითხზე სირიასა და ისრაელს შორის მაღალი დონის მოლაპარაკება გაიმართოს. ჯერჯერობით არაბული ქვეყნებიდან დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან აქვს მხოლოდ ეგვიპტეს.

„ვაშინგტონ პოსტი“ საქართველოს შესახებ

6 თებერვალს გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეხება სამაჩაბლოში ოსებსა და ქართველებს შორის დაძაბულ მდგომარეობას. როგორც ჩანს, აღნიშნავს გაზეთი, მოსკოვი აძლიერებს ამჟამინდელ კონფლიქტს, რათა გააჩეროს საქართველო და ხელი აალებინოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნაზე. ოსები ამბობენ, რომ საქართველოს ახლახან არჩეული ეროვნული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია წინააღმდეგია საბჭოთა პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვისა, რომელიც, როგორც ბატონმა გამსახურდიამ აღნიშნა, ზემოქმედებს საქართველოზე ამ ომის მეშვეობით. როგორც ჩანს, ოსები კარგად არიან შეიარაღებულები. ქართულმა მილიციამ აჩვენა „ხმელეთი-ხმელეთის“ ტიპის ოსების მიერ გასროლილი რაკეტა. საკდესი იუწყება, რომ დაპატიმრებულია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლიდერი კულუმბეკოვი. მას ბრალად ედება ერთაშორისი კონფლიქტის გაღვივება.

კონფლიქტი დაიწყო მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთმა სასწრაფოდ გამოაცხადა, რომ იგი არის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა, თუმცა თბილისი მოუწოდებდა ოს ლიდერებს თავი შეეკავებინათ საქართველოს ტერიტორიის ხელყოფისაგან. ბატონი გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევიდან ერთი თვის შემდეგ ოსების ახალი რესპუბლიკა გაუქმებულად გამოცხადდა. 7 იანვარს, პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ყველა ადგილობრივი დადგენილება ძალადაკარგულად გამოაცხადა და წამოაყენა წინადადება, რომ სამხრეთ ოსეთიდან გამოყვანილი ყოფილიყო ყველა შეიარაღებული ძალა. იქ წესრიგს დაიცავენ საბჭოთა ჯარები და ავტონომიური ოლქი კვლავ უნდა იქნეს აღდგენილიო. გორბაჩოვის დეკრეტი ქართველების მიერ იგნორირებულ იქნა.

ქართველები არ თვლიან მოსკოვს თავიანთ ჭკვიან დედად და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან ერთად არიან ყველაზე მტკიცე იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება მათ ეროვნულ სუვერენობას.

ტერორისტული აქციები ბონსა და ათენში

ერაყის მომხრე ტერორისტებმა გუშინწინ ორი აქცია მოაწყეს ბონსა და ათენში. გერმანიის დედაქალაქის დიპლომატიურ უბანში მათ ცეცხლი დაუშინეს ამერიკის საელჩოს. არავინ დაშავებულა. აქციაზე პასუხისმგებლობა იკისრა ე. წ. „წითელი არმიის“ დაჯგუფების წევრებმა შემთხვევის ადგილზე დატოვებული წერილით. ისინი ბრალს დებენ ვაშინგტონს, რომელსაც თითქოსდა სურს გერმანიის სპარსეთის ყურის კრიზისში ჩათრევა.

ათენში კი ტერორისტებმა ააფეთქეს ფრანგი და ამერიკელი დიპლომატების ავტომობილები. აქაც საბედნიეროდ არავინ დაშავებულა.

როდის აქეთ ალაპარაკდნენ რუსულად?

მოსკოვის გაზეთმა „პრავდამ“ სასტიკად გააკრიტიკა ფრანგული „ლიბერასიონი“, რომელიც ამტკიცებდა, — ერაყის სასაზღვრო რაიონებში საბჭოთა ჯარები არიანო. „პრავდამ“ ამ ცნობას უსაფუძვლო უწოდა. „ლიბერასიონი“ ეყრდნობოდა ამერიკული კავშირგაბმულობის საკონტროლო საშუალებებს, რომლებმაც საარმიო სიხშირეზე დააფიქსირეს რუსული საუბარი ირანსა და ერაყის სამხედრო ნაწილებს შორის.

როდის აქეთ ალაპარაკდნენ ისრაელები და ერაყელები რუსულად? სვამს კითხვას „ლიბერასიონი“.

ეძებენ ჟურნალისტებს

ყოველ საღამოს უკვე სამი კვირაა ზედიზედ ამერიკის სი-ბი-ეს ტელეკომპანიის ახალი ამბების პროგრამის წამყვანი დენ რაზერი იუწყება: „საომარი მოქმედების ზონაში დაკარგული ჩვენი ოთხი ჟურნალისტის ბედი კვლავ უცნობია“. მაგრამ სამშაბათს „ვაშინგტონ ტაიმსმა“, რომელიც იმოწმებს სადაზვერვო წყაროებს, გამოთქვა ვარაუდი, რომ გამქრალი ჟურნალისტები ამჟამად ქუვეითში იმყოფებიან, როგორც სამხედრო ტყვეები. ეს, როგორც გაზეთი წერს, აუწყა მათ საუდის არაბეთში გაქცეულმა ერაყელმა სამხედრო მოსამსახურემ.

უკანასკნელად სი-ბი-ეს-ის კორესპონდენტი ბობ საიმონი, პროდიუსერი პიტერ ბლაფი, ოპერატორი რობერტო ალვარესი და ხმის ოპერატორი მანუელ კალდერა 21 იანვარს ნახეს საუდის არაბეთის ტერიტორიაზე ქუვეითის საზღვრის ახლოს. შემდეგ იქ აღმოაჩინეს სატელევიზიო ჯგუფის ავტომანქანა. ჟურნალისტთა შემდგომი ბედი უცნობი იყო, სანამ „ვაშინგტონ ტაიმსში“ არ დაიბეჭდა სტატია. მაგრამ უგზოუკვლოდ დაკარგული ტელეჟურნალისტების შესახებ ინფორმაცია ვერ უპასუხებს მრავალ კითხვას. მაგალითად, არ არის დადგენილი, სად და რა გარემოებაში ჩაიგდეს ისინი ტყვედ.

მხოლოდ ერთი რამ არ იწვევს არავითარ ეჭვს: საომარი მოქმედების ზონაში ყოფნა, როცა ჟურნალისტურ მოვალეობას იხდი, არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ჯარისკაცობა.

პრიმაკოვის ვიზიტი

სამშაბათს ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი შეხვდა პრეზიდენტ გორბაჩოვის პირად წარმომადგენელს აკადემიკოს ევგენი პრიმაკოვს. საუბრის დროს ჰუსეინმა კვლავ დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე. მან პალესტინელთა პრობლემა კვლავ დაუკავშირა სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომს. ჰუსეინმა ამერიკელთა მოქმედებას „ველური“ უწოდა და აღნიშნა, მათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსყიდვა შეძლესო. რაც შეეხება ქუვეითიდან ერაყის ჯარების გამოყვანას, ჰუსეინს ამ საკითხზე კრინტიც არ დაუძრავს. პრიმაკოვი თეირანის გავლით მოსკოვს ჩამოფრინდა, სადაც აღნიშნა, რომ კონტაქტები ერაყთან გაგრძელდება; კერძოდ, 17 თებერვალს მოსკოვში ჩამოფრინდება ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი თარიკ აზიზი, რომელიც გორბაჩოვს შეხვდება.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პრიმაკოვის ვიზიტი კიდევ უფრო გამოკვეთავს საბჭოთა პოზიციას სპარსეთის ყურის კრიზისის მიმართ. ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ჰუსეინმა ენერგიული სურვილი გამოთქვა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობისა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა სახის თანამშრომლობაზეა ლაპარაკი, ერთი კი ცხადია: ჰუსეინი მოსკოვს სამხედრო ტექნიკასა და სათადარიგო ნაწილების მიწოდებას მოსთხოვდა, მისი არმიის 80 პროცენტი ხომ საბჭოთა სამხედრო ტექნიკით არის დაკომპლექტებული.

პავლოვის ახალი ვერსია

საბჭოთა კავშირში მომხდარი 50-მანეთიანი და 100-მანეთიანი ფულის ნიშნების გამოცვლასთან დაკავშირებით ბევრი ითქვა საბჭოეთშიც და საზღვარგარეთაც. ახლახან საბჭოთა პრემიერმა ვალენტინ პავლოვმა ახალი ვერსია მოგვაწოდა, მან შვეიცარიის ბანკები დაადანაშაულა იმაში, რომ ისინი ცდილობდნენ საბჭოთა ფულის შესყიდვას, საბჭოთა კავშირიდან გაზიდვას, მერე კვლავ საბჭოთა კავშირში შემოტანას და ბრუნვაში გაშვებას, რასაც თითქოსდა ჰიპერინფლაცია უნდა მოჰყოლოდა. ეს კი საბჭოთა ქვეყნის გაკოტრებას გამოიწვევდა. სწორედ ამიტომ იძულებული გავხდით ფულის მაღალი ნიშნები გამოგვეცვალაო, ხაზგასმით აღნიშნა პრემიერმა. შვეიცარიის ბანკების წარმომადგენელმა უარყო ეს აბსურდული ბრალდება. მისი თქმით, რა აზრი ჰქონდა საბჭოთა ფულის შეძენას, მის საზღვარგარეთ გატანას, რაც ფრიად სახიფათო ოპერაციაა, მერე კვლავ უკან შემოტანას და ბრუნვაში გაშვებას, გაცილებით იოლი არ იყო, ფული სადაც ბრუნავდა, იქვე დარჩენილიყო და თავი ზედმეტად არ აეტკივებინათ.

შვეიცარიის ბანკების წარმომადგენლის აზრით, თვით პავლოვის სსრკ ფინანსთა მინისტრად მუშაობის დროს განუწყვეტლად იბეჭდებოდა ჭარბი ფული, რაც შესაბამისი სასაქონლო პროდუქციით არ იყო უზრუნველყოფილი. სწორედ ეს არის მიზეზი საბჭოთა ფულის ნიშნების გაუფასურებისა, აღნიშნა შვეიცარიის ბანკების წარმომადგენელმა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა დუგლას ჰოგმა შეაფასა სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრის ვალენტინ პავლოვის მტკიცებანი იმის შესახებ, რომ დასავლეთის ბანკები აპირებდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ეკონომიკისათვის. მან თქვა, რომ ეს ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

უკრაინის რესპუბლიკური პარტია სუკის წინააღმდეგ

უკრაინის რესპუბლიკური პარტია აპირებს სამართალში მისცეს სუკ-ის თავმჯდომარე კრიუჩკოვი. კრიუჩკოვმა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე საჯაროდ დააბრალა რესპუბლიკურ პარტიას, „შეიარაღებული“ რაზმები ჰყავსო.

უკრაინის რესპუბლიკური პარტია მტკიცედ აცხადებს, რომ ეს არის სუფთა წყლის პროვოკაცია და ცილისწამება უკრაინაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პარტიის წინააღმდეგ და სუკ-ის უფროსის ბრალდებათა გაბათილებისათვის მზად არის დაამტკიცოს თავისი სიმართლე სასამართლოს მეშვეობით.

სასამართლო პროცესი მოსკოვში

მოსკოვში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელზეც იხილება მოქალაქე ნოვოდვორსკაიას საქმე. მას ბრალად ედება ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის პიროვნების შეურაცხყოფა და საბჭოთა დროშის დაწვა, 40 წლის ნოვოდვორსკაიამ თავის გასამართლებელ 3-საათიან სიტყვაში გორბაჩოვს კვლავ უწოდა „წითელი ფაშისტი“ და „კრემლის მაფიის მეთაური“. მას ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მოელის.

„ამერიკის ხმა“

11 თებერვალი. ორშაბათი, 1991 წელი

თებერვალი ბევრ რამეს გვახსენებს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული გლოვის დღეს, როცა წითელი არმიის ნაწილებმა 1921 წელს სასტიკი ბრძოლების შემდეგ მოახდინეს საქართველოს ანექსია. ბოლშევიკურმა რუსეთმა ვერაგულად დაარღვია დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება, რომლითაც იგი იურიდიულად ცნობდა ქართველი ერის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებას და ხელს იღებდა ყველა დიდმპყრობელურ პრეტენზიებზე საქართველოს მიმართ. მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ წითელი არმია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს საზღვრებს სამი მხრიდან: აღმოსავლეთიდან — აზერბაიჯანის ხაზის გადმოლახვით, ჩრდილოეთიდან — მამისონის უღელტეხილის ნეიტრალური ზონის გადმოლახვით და ჩრდილო დასავლეთიდან — აფხაზეთში შეჭრით. მიზეზად რასაკვირველია, მოიტანა მტკნარი სიცრუე, თითქოს საქართველოს მშრომელებს დაეპატიჟოს წითელი არმია, მენშევიკური ბურჟუაზიული უღლისაგან გასათავისუფლებლად. სიცრუითა და სიყალბით სავსე კალენდარში საბჭოელები ცინიკურად წერდნენ, 1921 წლის 11 თებერვალს ბორჩალოს მაზრაში დაიწყო გლეხთა შეიარაღებული აჯანყება მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. სინამდვილეში არავითარი ამის მსგავსი არ მომხდარა და ყოველივე ეს შეთითხნეს და გაითამაშეს ლენინის დამქაშებმა. იგივე ცრუ კალენდარი 25 თებერვლის ქვეშ მოკლედ წერს კიდევ ერთ სიყალბეს: საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მორჩა და გათავდა, თითქოს ომს ადგილი არ ჰქონია, თითქოს არ მომხდარა კოჯრისა და ტაბახმელას გმირული ბრძოლები, როდესაც ქართველთა ლაშქარმა 23 თებერვალს სასტიკად დაამარცხა და უკუაგდო წითელი არმია. ასეთივე დიდი გამარჯვება მოიპოვეს 24 თებერვალსაც. ისევე როგორც 1795 წელს, როდესაც საქართველოს მტრებმა უკან მოაბრუნეს აღა მაჰმად ხანი დამარცხებული ჯარით, ასევე ახლაც მოაბრუნეს ლენინის ჯარები მოღალატეებმა იმის მტკიცებით, რომ ქართული მხედრიონი შემცირებული, ძალაგამოლეული და დაფანტულიაო. ამიტომ წითელ არმიას თვით თბილისშიც, მართლაც, არ გაუწევს წინააღმდეგობა, ქალაქი არ დაანგრევინეს ბარბაროსებს. ქართველების გმირულმა ბრძოლამ სხვა ადგილებში გადაინაცვლა და ქართულ ლაშქარს უომრად არ დაუტოვებია მთავარი სტრატეგიული ადგილები. შეუპოვარი ბრძოლები თვენახევარს გაგრძელდა. ქართულმა ჯარმა თურქებისაგან გაათავისუფლა ბათუმი და ამით შეუნარჩუნა საქართველოს ეს მნიშვნელოვანი საპორტო და ადმინისტრაციული ქალაქი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის 70 წლისთავთან დაკავშირებით ბევრი რამის თქმა შეიძლება, თუნდაც ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტობრივად და იურიდიულად ცნო მრავალმა სახელმწიფომ და ეს პროცესი ომის დროს და მის შემდეგაც გრძელდებოდა. მაგალითად, ომი 6 დღის დაწყებული იყო, როცა 1921 წლის 17 თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად ცნო ავსტრიამ, ხოლო მეორე დღეს 18 თებერვალს — რუმინეთმა, 9 მარტს კი ჰაიტიმ, ასე შორეულმა ქვეყანამ, 14 მარტს — მექსიკამ, 28 მარტს — ლიბერიამ, ხოლო თითქმის ერთი წლის შემდეგ — 1922 წლის 23 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად ცნო ლუქსემბურგმა. თბილისთან სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა, როცა დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა კონსტიტუცია. მრავალ ადგილას მომხდურ მტერს ქართველმა ხალხმა გმირული ბრძოლა გაუმართა, ასე რომ, ვერაგი მტერი უბრძოლველად არ დაუტოვებიათ. აი რა მისწერა საქართველოს მეფემ გიორგი VII თემურ ლენგს: „რაღაცა თუ სიმრავლითა ძალისა შენისათა მრავალი ბოროტი გიყოლიებს ჩვენდამი მიმართ, არამედ უვნებლად არცა ჩვენ მიერ წასულხარ“. არც რუსეთის წითელი არმია დარჩენილა უვნებელი ქართველი გმირებისაგან. დიდება მათ სახელს.

რა ხდება დღეს საქართველოში? ფაქტია, რომ საქართველოს უთენდება, ამოდის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მზე, თენდება. ეს 1940 წლის 26 მაისს იწინასწარმეტყველა მიხაკო წერეთელმა, აი, ამ სიტყვებით: „არა ვუწყით როდის, მაგრამ მწამს ოდესმე გათენდება“.

ბოროტების იმპერია

მტრისაგან სიკეთეს არც ველით

დღეს, როდესაც აშკარა საფრთხის წინაშეა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როცა იმპერიის ცენტრი სხვადასხვა ხრიკებს მიმართავს მისი ბრჭყალებისაგან თავდაღწევის მსურველთა წინააღმდეგ, როცა უდანაშაულო ადამიანთა ბარბაროსული დარბევები და სისხლის ღვრა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როცა ერთი და იგივე სცენარის მიხედვით შემუშავებული სცენები ხორციელდება სხვადასხვა „მოკავშირე“ რესპუბლიკაში, როცა სუმგაითში, თბილისში, ბაქოში, ფერღანაში, კიშინიოვში, სტეპანაკერტსა თუ ვილნიუსში „წითელი არმიის“ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები დაუნდობლად სრესენ მოხუცებსა და ბავშვებს, როცა არ ინდობენ ორსულ ქალებსაც კი, როცა ყოველივე ამის შემდგომ ხელისუფალთ ურცხვად შეუძლიათ საქვეყნოდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადონ: ჩვენ ამის თაობაზე არც ბრძანება გამოგვიცია და არც არაფერი ვიცოდით, უკვე აშკარაა, თუ ვის ხელშია მრავალი ერისა და ეროვნების ადამიანთა ბედი, ვის ნება-სურვილზეა დამოკიდებული მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ისტორია ბრძენია. ისტორიას მრავალი ისეთი გაკვეთილი მოუცია, რომ თუ კარგად შევისწავლით და გავისიგრძეგანებთ ყოველივე მომხდარს, მაშინ რამდენამე გაგვიადვილდება დღევანდელი მდგომარეობიდან სწორი გამოსავლის მიგნება. დაუფარავად უნდა გამოვიტანოთ სააშკარაოზე იმპერიული ცენტრის მზაკვრული ზრახვები, მისი განხორციელების ხერხები და მეთოდები, რომლებიც საუკუნეების წინ აქვთ შემუშავებული და მომენტისა და ვითარების შესაბამისად ყოველთვის წარმატებით იყენებენ. ძალიან შორს რომ არ წავედეთ, გავიხსენოთ ჩვენი საუკუნის დასაწყისის პირველი წლები. როგორც კი თვითმპყრობელობის მარწუხებში მოქცეულმა ხალხებმა ურჩხულის ბრჭყალებისაგან თავის დაღწევა განიზრახეს, ცენტრმა მათ წინააღმდეგ ყოველგვარ ბინძურ საშუალებებს მიმართა. დაიწყო ეროვნებათა შორის შუღლის ჩამოგდების პროვოცირება და, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ წარმატებითაც შეძლეს ერთმანეთისათვის წაეკიდებინათ იმპერიაში მცხოვრები ხალხები, მარტო სომეხ-თათართა ურთიერთ ხოცვა-ჟლეტის გახსენებაც რად ღირს, ანდა გავიხსენოთ, თუ რაოდენ დაუნდობლად არბევდნენ ებრაელთა საცხოვრებელ უბნებს, როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ ბესარაბიელ და ბალტიისპირეთის ქვეყნების მცირერიცხოვან ერებს..

მაგრამ ის, რაც იმ წლებში საქართველოს მიმართ ჩაიდინეს, თავისი სისასტიკითა და შეუბრალებლობით არავითარი ანალოგი არ მოეპოვება. მხედველობაში გვაქვს თვითმპყრობელობის პირსისხლიანი დამქაშის, გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მიერ განხორციელებული უსაშინელესი ექსპედიცია ქუთაისის გუბერნიაში. იმ დღეებში ამ ველური ფაქტის თაობაზე მთელი იმპერიის პროგრესული პრესა წერდა და გულწრფელ თანაგრძნობასა და თანადგომას უცხადებდა ქართველ ხალხს. მაშინ მორალურ მხარდაჭერასაც საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა ერის სულიერი წონასწორობის შესანარჩუნებლად. მრავალთაგან, მხოლოდ ერთ პუბლიკაციას გავაცნობთ დღევანდელ ჩვენს მკითხველს.

1906 წლის გაზაფხულზე, პეტერბურგში გამომავალ გაზეთ „ნაროდნი ვესტნიკის“ № 11-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია „საქართველოს აოხრება“. წერილში მოკლედ, მაგრამ საოცრად ნათლად იყო აღწერილი ის გაუგონარი სისაძაგლე და ბარბაროსობა, რომელიც დაატეხეს საქართველოს მშრომელთა მიმართ ჩაიდინეს ალიხანოვ-ავარსკის წინამძღოლობით მოქმედმა რუსეთის ჯარმა და კაზაკებმა. ამასთან დაკავშირებით გაზეთის რედაქცია თავის მეთაურ წერილში — „საქართველოს გოდება“ — აღნიშნავდა:

„ქვევით ვბეჭდავთ წერილს „საქართველოს აოხრება“-ს. რა შეგვიძლიან ვსთქვათ ამ წერილში მოხსენებულ ფაქტების შესახებ, რა უნდა ვთქვათ ისეთი, რაც არა თქმულა უკვე? საქართველოს, რომელიც ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს ავტონომიურ საფუძველზე, სძარცვავდნენ, სჩაგრავდნენ და ამცირებდნენ ისე, როგორც შეუძლიან ძარცვა, ჩაგვრა და დამცირება მხოლოდ რუსის „ჩინოვნიკებს“. ქართველების დედა-ენა განდევნილ იქმნა არა მარტო სასკოლო და სასამართლო დაწესებულებათაგან, არამედ ეკლესიიდანაც კი. ქართველ გლეხებს ხელიდან აცლიდნენ სამშობლო მიწებს, რომ მიეცათ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის; გადასახადებს და ხარჯებს საზღვარი არა ჰქონდა. აუტანელ დევნისაგან საქართველოში დაიწყო იმგვარივე მოძრაობა, როგორც მთელ რუსეთში და იქ გაგზავნილ იქმნენ დამამშვიდებელნი — ალიხანოვი, ტიმოფეევი, ბაუერი და სხვა ნაკლებად ცნობილნი, მაგრამ არანაკლებ მოძალადენი. რაც მოხდა ამის შემდეგ, დავიწყება არ შეიძლება; თოფებით ხვრეტდნენ უიარაღო ხალხს; ხმლებით ჩეხავდნენ შვიდი წლის გიმნაზიელებს. აოხრებინეს და გადააწვევინეს სოფლები და მთელი მაზრები; არტილერიით დააქციეს სახლები, გადასწვეს ქალაქები, დაბები და რკინიგზის სადგურები; მომხდარა ისეც, რომ ცეცხლწაკიდებულ სახლებში გამომწვარან ცოცხალი ადამიანები; დასასრულ, რაც უსაზიზღრესი და უსაშინელესი დანაშაულობაა, რის შემწეობითაც მთავრობას სურს მხეცობა შეარჩინოს რუსის სალდათს — აუპატიურებდნენ ქალებს. აშკარად და დაუსჯელად ხდიდნენ ნამუსს მცირეწლოვან გოგოებს და გათხოვილ ქალებს, ჯანმრთელებს და ავადმყოფებს; არ დაინდეს მშობიარე ქალიც-კი; ქართველი ქალები იხრჩობოდნენ იმათ ხელში და იყო შემთხვევა, რომ კიდევაც სული დალიეს.

რა პასუხი უნდა მივცეთ თავისუფლების მოყვარულ ამ მამაცი ხალხის გოდებას? ჩვენ შეგვიძლიან ვუთხრათ, რომ მარტო ის ერთი არ არის ტანჯული, მარტო ის არ არის განრისხებული. საქართველოდან მოსული ამბები თავზარდამცემია, მაგრამ უფრო საშინელი ის არის, რომ ამ ამბებში ახალი არ არის-რა. რაც საქართველოში ხდებოდა, იმის მსგავსი არაფერი მომხდარა, არაფერი გაგონილა არსად მთელ დედამიწაზედ... გარდა რუსეთისა იმავე მხეცობას, იმავე ძალმომრეობას ხმარობენ რუსის ადმინისტრაცია და იმის ხელქვეითი ჯარი ლატიშებისა და ესტების წინააღმდეგ ბალტიის მხარეში, ებრაელების წინააღმდეგ მათი ბინადრობის საზღვრებშიც და გარედაც. აგრეთვე სდევნიდნენ ძველის რეჟიმის მსახურნი სომხებსაც და განა არ სძარცვავდნენ, არ სწვავდნენ ველიკოროსების სახლებსა და სოფლებს, არ აუპატიურებდნენ ქალებს, არ სცემდნენ სასიკვდილოდ, არ ესროდნენ თოფებს უიარაღოებს? თუ შიდა რუსეთი მთლად არ არის გადამწვარი, ამის მიზეზი არ არის, რასაკვირველია, მთავრობის სიყვარული მშრომელ ხალხისა და ქვეყნისადმი. ისინი ვინც ზევიდან განაგებენ მრავალ ხალხის ბედ-იღბალს, თუ ყოველთვის თავისუფალნი არ არიან ეროვნულ ცრუმორწმუნეობისაგან, სრულიად თავისუფალნი არიან სიყვარულისა და თანაგრძნობისაგან. მათთვის არსებობენ მორჩილი და არამორჩილი მონები...; თუ შიდა რუსეთში სისხლი ისე უხვად არ არის დაქცეული და ცეცხლი ისე ხშირად არ ანადგურებს სოფლებსა და ქალაქებს, ეს იმიტომ, რომ შიდა რუსეთი დიდია და მთავრობას ძალა არ ჰყოფნის. მთელს რუსეთს კიდით-კიდემდე უხვად მოჰფინა მთავრობამ სიძულვილის თესლი. ამ საერთო გრძნობით, ამ საერთო სიძულვილით შეერთებულმა რუსეთის ერებმა გაიცნეს ერთმანეთი, უფრო თანაუგრძნობენ ერთმანეთს და ეს არის თავდები იმისა, რომ შურისძიების საათი მოახლოებულია.

დეე, მშვენიერმა საქართველომ, თუ შეუძლიან ამით მაინც ინუგეშოს თავი. რაც შეეხება ძალას და სიმამაცეს ბრძოლის ბოლომდე გასაგრძობად, არც ერთი და არც მეორე ქართველ ხალხს არ აკლია“.

სტატიის თარგმანი მოგვაქვს საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის ორგანოს, გაზეთ „შრომაში“ (1906 წლის 30 მაისი) გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

ძვირფასო თანამემამულენო, გვახსოვდეს ეს მწარე გაკვეთილი. ვიყოთ ერთად და ვიყოთ ფრთხილად, რადგან მტრისაგან სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ. ჩვენ მხოლოდ მტკიცე ერთობა გადაგვარჩენს.

ბელა საითიძე,
დოცენტი.

ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო საბჭოს

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დაძაბული ვითარებაა საქართველოში და რა პირობებში უხდება მუშაობა უზენაეს საბჭოს. დესტრუქციული ძალებიც ყოველნაირად ცდილობენ საქართველოში არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვას, რასაც ხელს უწყობს საკავშირო საინფორმაციო საშუალებებით მდგომარეობის ცალმხრივი, ტენდენციური გაშუქება, რომელიც დაძაბულობის ახალ-ახალი კერების გაჩაღებას უფრო ემსახურება, ვიდრე სიტუაციის ნორმალიზებას.

არსებული მწვავე ვითარებისათვის თქვენ მთელ პასუხისმგებლობას აკისრებთ საქართველოს მთავრობას და ბრალად სდებთ უმოქმედობას, არ ერიდებით შანტაჟს და თავდაცვის საბაბით თუ მოტივით ცდილობთ ჩაერიოთ მმართველობის შინაგან სტრუქტურაში.

ყოვლად შეუძლებელია არდანახვა იმ პოზიტიური ძვრებისა, რომელსაც საქართველოს ახლად არჩეული უზენაესი საბჭო და მისი თავმჯდომარე ახორციელებენ: გამკაცრებულია კანონი სამართალდარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ მხრივ გარკვეული დადებითი შედეგები უკვე მიღწეულია. ნაწილობრივ ამოღებულია უკანონო იარაღი, მიღებულია დადგენილება შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლის შესახებ. მიმდინარეობს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების კამპანია, რაც კონკრეტული რეგიონის კონტროლირების გარანტიას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ეთნოკონფლიქტში სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედება, რომლის მამხილებელი ფაქტები მოყვანილი იყო თქვენდამი მომართულ წერილში და რომლებიც ჯერჯერობით რეაგირების გარეშე რჩება, საქართველოს უზენაესი საბჭო არ იზიარებს აზრს ფიზიკური ანგარიშსწორებისა და ისეთი ავანტიურისტული აქციების შესახებ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დაძაბულობის გამწვავება და მიაჩნია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა კავშირის სამხედრო ჯარების ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის ნორმაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

აქედან გამომდინარე, ყოვლად გაუმართლებელია განავრცო თქვენს მიერ მოყვანილი კონკრეტული ფაქტები (რომლებზეც, ცხადია, აღძრული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმე სათანადო ინსტანციებში) მთელ მოსახლეობაზე და დაადანაშაულო მთავრობა გაუგებარ ნეიტრალიტეტში.

საქართველოს უზენაესი საბჭო ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გარეშე ძალის ჩაურევლად, დროულად აღკვეთოს ყველა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალეროვანი მოსახლეობის მშვიდობიან თანაარსებობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

კინო

სხვის თვალში ბეწვის ძებნას ნუ გადავყვებით

ა. წ. 2 თებერვალს „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა კინორეჟისორ ლიანა ელიავას წერილი „ქართული კინო ეროვნულ საწყისებზე“. მინდა გამოვეხმაურო მას, რადგან ავტორის მიერ წამოჭრილი ბევრი საკითხი, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი და პრინციპულია.

ვეთანხმები ქ-ნ ლ. ელიავას, რომ „სასწრაფოდ უნდა ვთარგმნოთ უცხო ენებიდან კინოსახელმძღვანელოები“. ეს საქმე დიდი ხანია აწუხებთ ქართველ კინომცოდნეებს, მაგრამ აქამდე ასეთი ხასიათის წიგნების გამოცემაზე, როგორც წესი, უარს ამბობდნენ, რადგან ამ საქმეს მომგებიანად არ მიიჩნევდნენ. დღემდე ჩვენში წიგნები ითარგმნება, ძირითადად, იმ პოპულარული საზღვარგარეთელი კინომსახიობების შესახებ, რომელთა სახელს მოგების უზრუნველყოფა შეუძლია. მიუხედავად ამისა, ჩვენმა კინომცოდნეებმა ბევრი ისეთი წიგნი გამოსცეს, რომლებიც დამხმარე სახელმძღვანელოს როლს ასრულებენ. მათი ჩამოთვლა მეტად შორს წაგვიყვანს. უფროსი კოლეგების გვერდით ახალგაზრდა კინომცოდნეებიც სისტემატურად იბეჭდებიან ჟურნალებში („საბჭოთა ხელოვნება“, „კინო“, „ახალი ფილმები“), რაღა თქმა უნდა, მათი კვლევის საგანი კინოხელოვნებაა. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა სახელმძღვანელოები, სისტემატური კურსები, რათა ქართველ სტუდენტებს კინოხელოვნების უფრო ღრმად შესწავლის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

პრინციპულია, აგრეთვე, ქ-ნ ლ. ელიავას აზრი ახალგაზრდათა ათკაციანი ჯგუფების შექმნის საჭიროებაზე კინომცოდნეობასა და კინობიზნესში, აგრეთვე, „მეორე რგოლის მუშაკთა“ მომზადების თაობაზე. სწორედ ამ საჭიროებიდან გამომდინარე თეატრალურ ინსტიტუტში არსებობს ასეთი ჯგუფები კინომცოდნეობის (ხელმ. ი. კუპუხიძე), კინომენეჯერების (ხელმ. დ. შალიკაშვილი, პ. ბარამიძე), ხმის ოპერატორების (ხელმ. ვ. ნადარაია, გ. კუნცევი) მოსამზადებლად. არაფერს ვამბობ ოპერატორების (ლ. პაატაშვილი), კინორეჟისორების (გ. შენგელაია), ტელერეჟისორების (თ. ჩხეიძე, გ. ხაინდრავა), მულტიპლიკატორების (გ. კანდელაკი) ჯგუფებზე. რაც შეეხება უნივერსიტეტს, ჩვენ ყოველ წელს გვაქვს მიღება ხელოვნების მეორად ფაკულტეტზე კინომცოდნეობის, კინოდრამატურგიის, ზოგჯერ კინორეჟისორისა და კინოოპერატორობის სპეციალობით და მათ პედაგოგებს შორის სწორედ ქ-ნ ლიანას მიერ დასახელებული ოსტატებიც არიან. მართალია, ფაკულტეტს ჯერ არ გააჩნია სასურველი ტექნიკური აღჭურვილობა, სწავლების პროფილიც მხოლოდ სპეციალიზებულ საგნებს გულისხმობს (ამიტომაც აქ სწავლა შეუძლიათ მხოლოდ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს ან უმაღლესდამთავრებულებს), მაგრამ ფაკულტეტმა გარკვეულწილად გაამართლა თავისი დანიშნულება. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ როცა ამგვარ მნიშვნელოვან საკითხებზე საჯაროდ ვიწყებთ საუბარს, ალბათ, სასურველია მეტად ვიყოთ ინფორმირებულნი. მაშინ წამოყენებული წინადადებებიც უფრო საქმიანი იქნება.

„ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ რეპლიკაში (1. II. 90) ქ-ნი ლიანა გვაუწყებს: ფლორენციაში ქართველ ქალთა კინოფესტივალზე გასამგზავრებლად ჩემთვის გამოყოფილი თანხა მსურს ეროვნული ფილმოთეკის აშენებას მოხმარდესო. მაგრამ ფილმოთეკა ხომ უკვე აშენებულია (გლდანი, თიანეთის გზატკეცილი 63), ამიტომ აღარც ასეთი მსხვერპლის გაღებაა საჭირო. თუმცა ფილმოთეკაში ყველა სამუშაო ჯერ ბოლომდე არ არის მიყვანილი — სპეციალური კონდენციონერები საჭირო ტემპერატურის შესანახად ჯერ კიდევ გზაშია, ხოლო დანარჩენ ტექნიკურ აღჭურვილობას ასეთი დეფიციტური ვალუტა ესაჭიროება. ალბათ, კარგი იქნებოდა თითოეული ქართველი კინემატოგრაფისტი გარედან შემფასებლის და მაკრიტიკებლის როლში კი არ მოგვევლინოს, არამედ ყველამ ერთად მოვიფიქროთ, თუ როგორ შეიძლება მოსკოვიდან გამოვითხოვოთ ჩვენი ფილმები და ყველა პირობა შევქმნათ მათი დაუზიანებლად შენახვისათვის.

დღეს პრესაში გახშირდა ჩვენი სახელოვანი კინოოსტატების აუგად ხსენება. მაგალითად, პ. იაკაშვილის პუბლიკაციაში („ღია წერილის პასუხად“ „ლიტერატურული საქართველო“. 25. 1. 90). არა მარტო მიუღებელი ტონითაა ლაპარაკი ო. იოსელიანზე, რომელსაც გამუდმებით ავიწროებდნენ კინოს საბჭოთა ფუნქციონერები, არამედ გაყალბებულიცაა ამ ხელოვანის დღევანდელი მოღვაწეობა. გაოცებას იწვევს თ. აბულაძის მისამართით ბოლო დროს წამოყენებული ბრალდებებიც... რატომღაც მოდაში შემოდის ეროვნული კინოს არსებობის ფაქტის სრული იგნორირება და ნულიდან ყველაფრის დაწყებისკენ მოწოდება. ამ ვითარებაში სამართლიანად გაისმა ქ-ნი ლიანა ელიავას სიტყვები: „საუკეთესო ქართული ფილმები ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ეროვნულობით“. სასიამოვნოა ისიც, რომ იგი კარგად ხედავს და აფასებს უფროსი კოლეგების ოსტატობას და დამსახურებას. თუმცა სხვა წერილში მანაც გაუმართლებელი პრეტენზიები წაუყენა ასევე მეტად სახელოვან ჩვენს კინოოსტატს (ამის გამო მას უკვე შეესიტყვნენ კინემატოგრაფისტები).

როგორი მოდურიც გინდა გახდეს ქართული ეროვნული კინოს უარყოფა და უგულებელყოფა, რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ, იგი ხელახლა შესაქმნელიაო, უამრავი უფერული პროდუქციის გარემოცვაში, ის მაინც არსებობს რეალურად, ჰყავს თავისი ფუძემდებლები, კლასიკოსები, მიმართულების მიმცემი ცოცხალი ოსტატები, მოპოვებული აქვს საერთაშორისო ავტორიტეტი. საუკეთესო ქართველი კინორეჟისორების მიერ შემუშავებული და რეალიზებული მხატვრული პრინციპები სათუთად შესანახი, ღრმად შესასწავლი და გასავითარებელია. ვინც ამ ფაქტს ვერ ხედავს, ველოსიპედის ხელახლა გამოგონებისკენ მოგვიწოდებს.

მაშ, გარდასაქმნელი ან ხელახლა შესაქმნელი არაფერია? რა თქმა უნდა, არის. პირველ რიგში შესაცვლელია კინოწარმოების საბჭოური სტრუქტურები, ალბათ, ხელახლა შესაქმნელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფილმის გადაღების ორგანიზაციის ახალი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს შემოქმედების სრულ თავისუფლებას, პარალელურად მომგებიანს გახდის კინოწარმოებას და ა. შ. (ჩემთვის, მაგალითად, სამყაროს მერვე საკვირველებაა ის, რომ არსებული კინოწარმოების სისტემაში, საბჭოური ცენზურისა და ცენტრის მუდმივი კონტროლის პირობებში არსებობა მოახერხა ნამდვილმა ქართულმა ეროვნულმა კინომ). კინოწარმოების გარდაქმნაზე, მისი ახალი მოდელისა და სტრუქტურების შემუშავებაზე, ვიცი, რამდენიმე წელია მუშაობს კინოსტუდიაც, კინოკავშირიც, კინოკომიტეტიც. იშველიებენ ეკონომისტებს, სოციოლოგებს. კინოკავშირის ორმა მდივანმა ეს უკვე განუმარტა ქ-ნ ლიანას, მაგრამ ის ისევ დაჟინებით გვიმტკიცებს, აუცილებელია ახალი სტრუქტურების შემოღებაო, მაშინ, როდესაც არცერთი სპეციალისტი არა თუ არ დაეჭვებულა ამის აუცილებლობაში, არამედ ახალ მოდელთა ალტერნატიულ გეგმებზეც მუშაობენ. ზოგად მოწოდებებს ხომ არ აჯობებდა, შექმნილი პროექტების გასაუმჯობესებლად კონკრეტული ნოვაციების შემოთავაზება?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინოს ენისა და სტრუქტურის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში უკვე ორი წელია მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ქართულ ენაზე მსოფლიო კინოს ლექსიკონის მოსამზადებლად, სადაც, ცხადია, ნაცადია ერთიანი კინოტერმინოლოგიის შემუშავებაც (მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ათიოდე წლის წინათ ჟურნალ „ახალ ფილმებში“ გამოქვეყნებული ქართული კინოს ლექსიკონიც). ალბათ, სულ მოკლე ხანში საქართველოს ენციკლოპედია, ჩვეულებისამებრ, დაუგზავნის სპეციალისტებს ლაბორატორიის მიერ მომზადებულ „სიტყვანს“ მისი საბოლოო სრულყოფისათვის. ვიმედოვნებთ, რომ ყველა კინემატოგრაფისტი მიიღებს ამაში აქტიურ მონაწილეობას.

ყოველივე ამას მხოლოდ ერთი მიზნით ვწერ: მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ კინემატოგრაფისტები არ სხედან გულხელდაკრეფილები სასწაულის მოლოდინში. მაგრამ ბევრი საქმე ჯერ არ არის დასრულებული, რის გამოც ისინი გაურბიან რეკლამას და საჯარო განცხადებებს. თუ კონფრონტაციის ნაცვლად საერთო საქმეზე ყველა ერთად ვიზრუნებთ, ზედმეტი გახდება პირველადმომჩენის პათოსით ნათქვამი: „... უნდა შევუდგეთ კინოწარმოების ყველა რგოლის გარდაქმნასაც“ ანდა „... სასწრაფოდ უნდა შეიქმნას კინოტერმინოლოგიის შემმუშავებელი კომისია“...

ქ-მა ლ. ელიავამ თავისი პირველი ფილმი „ბზიანეთი“ მაშინ გადაიღო, როცა ქართული მოკლემეტრაჟიანი კინო თანდათან პოულობდა საყოველთაო აღიარებას. ქართული კინომინიატურის საერთო წარმატებაში თავისი როლი, უდავოდ, „ბზიანეთმაც“ შეასრულა. ეს ქართულმა კინოკრიტიკამ საგანგებოდ აღნიშნა. მახსოვს, მეც შევეხმიანე ქართული ტელეკინოს ამ აშკარა გამარჯვებას წერილებით, სპეციალური სატელევიზიო გადაცემით. დღეს ქ-ნ ლიანას სწყინს, რომ მის სრულმეტრაჟიან ფილმს „სინემას“ კინემატოგრაფისტები უყურადღებოდ ტოვებენ. მაგრამ ამის მიზეზი იქნებ ტენდენციურობა, მიკერძოებული დამოკიდებულება კი არა, სხვა რამაა? ხომ არ ღირს ამაზე დაფიქრება?

ერთმანეთის ძრახვა საქმეს არ წაადგება. ყველა თავის პროფესიას უნდა ჩაუღრმავდეს. რეჟისორებმა სცადონ კარგი და საჭირო ფილმები შექმნან იმის აღუნუსხავად, თუ მისი კოლეგა სადაური ტექნიკითა და ფირით მუშაობს, თორემ, სხვასაც ხომ შეუძლია დაგვითვალოს, რა თანხა გვაქვს დახარჯული ფილმზე და რამდენია სასარგებლო ჩვენს მიერ გადაღებული მეტრაჟიდან?

თავისი წერილის ბოლოს ქ-ნი ლიანა შეგვახსენებს ილია ჭავჭავაძის სიტყვებს: „ჩვენს გარე ჩვენი ხსნა სიზმარიაო“. მართლაც, შესანიშნავი ნათქვამია. ჩვენ ერთად უნდა ვიზრუნოთ ქართული კინოს მომავალზე — კომპეტენტურად, არსებული ვითარების ზუსტი შეფასების საფუძველზე, ჩვენი რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. მაგრამ, თუ სხვათა თვალში ბეწვის ძიებას გადავყვებით, ხალხს უნებურად შეიძლება იმავე ილიას „ბედნიერი ერი“ გაახსენდეს, სადაც დიდი გულისტკივილითაა ნათქვამი: „არ რის მქონე, არ რის მცოდნე“ ვართო, თან — „მოყვრის მგმობი“ და „თვალაბმულიო“. ამიტომ ქ-ნ ლ. ელიავას თქმისა არ იყოს, ჯობს, ყველამ ვეცადოთ, თითო აგური შევაშველოთ ჩვენი ეროვნული კინოხელოვნების შენობის სრულყოფას.

ტატა თვალჭრელიძე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადება

დღევანდელ „კრასნაია ზვეზდაში“ დაიბეჭდა მორიგი ცილისწამება ქართველ ერზე, ამჯერად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობის სახელით.

ამ დეზინფორმაციაში აღნიშნულია, რომ საქართველოში თურმე თავს ესხმიან სამხედრო ობიექტებს, სამხედრო მოსამსახურეებს და, ბუნებრივია, რომ საჭიროა საქართველოში „წესრიგის დამყარება“.

ჩვენ ისიც შევიტყვეთ, რომ 11 თებერვლიდან თბილისში იმყოფება სპეციალური დანიშნულების ნაწილის 1400 მოსამსახურე, რომელთაც ქართველები 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი კვირიდან კარგად იცნობენ.

საქართველოში თავს არავინ ესხმის არც სამხედრო ობიექტებს და არც სამხედრო მოსამსახურეებს და ვინც ამას მომავალში გააკეთებს, ის თავად იქნება მოსკოვისა და საოკუპაციო ჯარების აგენტი.

ქართველი ერი ყოველთვის მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის და დღესაც არ ღალატობს ამ პრინციპებს. ვერანაირი დეზინფორმაცია ვერ მოამზადებს ნიადაგს საქართველოში ახალი აგრესიისათვის.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
13.02.91.

რედაქციისაგან: არ ვიცით, საიდან შეიტყვეს სპეცნაწილის ჩამოსვლა. ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არც ერთ დონეზე არ ყოფილა. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, ყველას დიდი დაფიქრება მართებს. დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ საერთოდ შექმნილ რთულ სიტუაციას და არც ერთმა პარტიამ თუ ორგანიზაციამ არ დაუშვას მოუფიქრებელი, ნაჩქარევი აქციებისა თუ სხვა ღონისძიებების გამართვა.

ტკივილი

ეს აუცილებელია

ზოგჯერ ისეთი რთული და სასაცილო სიტუაცია შეიქმნება ხოლმე, რომ ვერც გრძნობ ამას. რთულიცაა და სასაცილოც, როდესაც იშრომებ, იღვაწებ და შენი შრომისა და ნაღვაწის დასტურს თუ დამტკიცებას სხვა, უცხო ქვეყანაში ეძებ. თავისუფლება შინაგანობიდან იწყება, დამოუკიდებლობაც. შენ კი შენივე ნაშრომის დამტკიცებას სხვა ქვეყანაში, უცხო ტომთაგან მოელი. ჩვენი ქვეყნის დასუსტება მაშინ გაღრმავდა, როდესაც ჩვენს მეფეებს, ჩვენს მთავრებს უცხო ქვეყნებში ამტკიცებდნენ, როდესაც შეფასების საბოლოობის გრძნობა დავკარგეთ და სხვას შევაჩერდით. ეს მომენტი შემდეგ გაიზარდა, გაიშალა და განსაკუთრებული უარყოფითი ნაყოფი რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს გამოიღო. ჩამოგვიყალიბდა უცხო ნაყოფისადმი განსაკუთრებული მოწიწების გრძნობა, ხოლო საკუთარის გაბიაბურების სურვილი. თითქოს ყოველივე უცხო, სხვა ქვეყნის პროდუქტი კარგია, ხოლო ჩვენი უვარგისი. ეს შეეხო როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ და სააზროვნო სფეროსაც.

საბჭოთა იმპერიაში კი უკვე თითქმის ყველაფერს მოსკოვში გვიმტკიცებდნენ, როგორც მატერიალურს, ისე სულიერს. რაიმე არქიტექტურული პროექტი თუ სცენარი თუ საგაზეთო, პოლიგრაფიული საქმე მოსკოვში უნდა შეგვეთანხმებინა, მოსკოვში უნდა დაგვემტკიცებინა, უცხოეთში მოგზაურობაც, გასტროლების ჩატარების საკითხიც, მოკლედ თითქმის ყველაფერი. ეს კი ფსიქოლოგიურადაც გვაჩვევდა დამოკიდებულებას სხვაზე, არათავისუფლად ყოფნას. მსგავსი სიტუაცია დამკვიდრდა ჩვენს მეცნიერებაშიც. ნებისმიერი სადისერტაციო ნაშრომი, საკანდიდატო თუ სადოქტორო, რა დონეზეც არ უნდა დაგვეცვა, რა დონის საბჭოზეც, მაინც მოსკოვს უნდა დაემტკიცებინა, თუ არადა ხარისხი არ ჩაგვეთვლებოდა. ეს კი ნიშნავდა, რომ მეცნიერებაში კომპეტენტურად ვერ ჩაითვლებოდი, შენს სტატიებს თუ ნაშრომებს არავინ დაბეჭდავდა, რეცენზიას არავინ დაგიწერდა, არც უხარისხოს რეცენზირება სჭირდებოდა ვინმეს. მოკლედ მეცნიერების გარეთ რჩებოდი.

დისერტაციას მოამზადებდი საქართველოში, ქართველი მეცნიერ-ხელმძღვანელი გყავდა, რეცენზენტებიც ქართველები, სპეციალიზებული საბჭოც ქართველებისგან შედგებოდა. იცავდი, განიჭებდნენ ხარისხს და... მაინც რუსულად თარგმნა, რუსულად საბუთების შედგენა და მოსკოვში გაგზავნა ან ჩატანა, ვინიცობაა გზაში არ დაიკარგოსო. მერე კი ლოდინი, გაუთავებელი ლოდინი, თუ დროზე დაამტკიცებდნენ, ბედნიერი იყავი, თუ არადა უნდა დაგერეკა, ჩაგეკითხა მოსკოვში, სადაც შენს ნაშრომს იშვიათად თუ წაიკითხავდა ვინმე. ეზარებოდათ. ხუმრობა ხომ არ იყო ამოდენა კავშირიდან, ყველა რესპუბლიკიდან და რეგიონიდან მოსული ნაშრომების კითხვა. თავს არ იწუხებდნენ. ამიტომაც, ავტორეფერატების გაკეთება დააწესეს. სადისერტაციო ნაშრომის მოკლე შინაარსი იქნებოდა იქ გადმოცემული და ამას გადახედავდნენ. ხოლო თუ ვინმე თანამოძმე საჩივარს გააგზავნიდა, მაშინ დიდხანს, ძალიან დიდხანს დააყოვნებდნენ დამტკიცებას. მიზეზზე იყვნენ. ამან უხერხული ვითარება შექმნა. ადგილზე დაცვის პროცესში, მანამდეც შესაძლოა ყველა დადებითად მოკიდებოდა შენს ნაშრომს, მაგრამ ვინმე იქიდანვე იმავე წრიდანვე, პირში რომ გიცინოდა და გილოცავდა დაცვას, მოსკოვში საჩივარს აგზავნიდა, რასაკვირველია ანონიმურს, ასე იყო მიღებული, რომ ანონიმს ამოფარებული „ვინმეს“ რაოდენობა უფრო მეტად გაიზრდებოდა და იზრდებოდა კიდეც. უჩიოდნენ ერთმანეთს ქართველები რუსებთან, დამპყრობლებთან, ოკუპანტებთან. ერთმანეთის გაჭირვება და მოსკოვში სამათხოვროდ სიარული ახარებდათ. აი ტრაგიკომიკური სიტუაციის ნათელი მაგალითი. საქმე იქამდე მივიდა, რომ საჩივარში ბანკეტების თაობაზეც იყო მითითება. ქართველი კაცი თუ წარმატებულ დაცვას აღნიშნავდა და მოიწვევდა დაცვის მონაწილეებს, „მკაცრად“ ისჯებოდა საჩივრით. ამან გამოიწვია ოპონენტებისა და საბჭოს წევრების ფარულად, თითქმის არალეგალურად დაპატიჟების ტრადიციის დამკვიდრება. ჩვეულებრივ ხალხს ცალკე პატიჟობდნენ, დისერტაციასთან დაკავშირებულ ხალხს კი ცალკე. ზოგმა ბანკეტის მოწყობა მომდევნო დღეებშიც გადაიტანა შეფარვისათვის. ეს იწვევდა ადამიანებში უნდობლობას, ეჭვიანობის, მტრობის დამკვიდრებას. ბოლოს და ბოლოს საქმე მხოლოდ დამტკიცებაზე მიდიოდა. ჩვენთან კი დაიცავ, მაგრამ დამტკიცებააო მთავარი. ასე იკარგებოდა შინაგანი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ასე მკვიდრდებოდა უცხოსთან საკუთარის დაბეზღების და გამეტების მავნე ჩვევა.

მერე ბევრმა პირდაპირ რუსულად დაიწყო დისერტაციის წერა, გავრცელდა მოსკოველი ოპონენტების ჩამოყვანა, ისეთის, ვინც უმაღლეს საატესტაციო კომისიასთან ახლოს იყო. ყოველივე ეს უფრო მეტ გარანტიას ქმნიდა იმისათვის, რომ მოსკოვში ნაშრომი და, შესაბამისად, სამეცნიერო ხარისხის დამტკიცება ოპერატიულად და შეუფერხებლად მომხდარიყო. ეს კი იწვევდა ეროვნული მეცნიერების განვითარების დაბრკოლებას, დედაენის უფლებების შეკვეცას, ეროვნული ტერმინოლოგიის არარსებობას, ან განუვითარებლობას. ბევრი უკვე პირდაპირ მოსკოვში მიდიოდა და უშუალოდ იქაური ნაშრომებით სარგებლობდა, ზოგიც მხოლოდ ე. წ. სადისერტაციო დარბაზით იფარგლებოდა. ამან შექმნა ძალიან ზედაპირული და არამეცნიერული განწყობილებები. მთავარი გახდა არა ნაშრომის ღირსება და პრობლემები, მათი ანალიზი და გადაჭრის ცდები, არამედ დამტკიცება, ხარისხის დამტკიცება. ამით ყურადღება გადაიტანებოდა ნაშრომის გაფორმების გარეგნულ საკითხებზე. პირდაპირ გეუბნებოდნენ თუ კარგად გააფორმებ, კარგად გადაბეჭდინებ, კარგ ქაღალდზე, საბუთებსაც ლამაზად გააკეთებ (ბეჭედი სუფთად უნდა იყოს დასმული, ხელისმოწერაც სუფთად და გარკვევით ჩანდეს), მაშინ დამტკიცება განაღდებული გაქვს, თუ ვინმემ არ გიჩივლა. წაკითხვით იქ თავს არავინ მოიკლავსო.

გავიდა ხანი, ჩვენში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. დაიწყო მასობრივი ბრძოლა ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღდგენისათვის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩატარდა მრავალპარტიული ეროვნული არჩევნები. ეროვნული ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა, რადგან გაიმარჯვა ამ თავისუფალ არჩევნებში და დაამხო კომუნისტური, საბჭოთა დიქტატურა რესპუბლიკაში. შეიქმნა ეროვნული პარლამენტი. აღდგა დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის სიმბოლიკა. ძირეულად შეიცვალა კონსტიტუცია, იცვლება სახელმწიფოებრივი სტრუქტურები შესაბამისი კადრებით. არსებობს ეროვნული კონგრესიც. მაგრამ, საატესტაციო საქმეს მაინც არ ეშველა, თითქოს ეს საქმე და სფერო უმნიშვნელო იყოს. კვლავ იგზავნება მოსკოვს სადისერტაციო ნაშრომები რუსულად, შესაბამისი საბუთებით, ასევე რუსულად, დასამტკიცებლად; კვლავ ფარულად ეწყობა ბანკეტები; კვლავ უჩივიან ერთმანეთს მოსკოვში და რაც მთავარია, კვლავ უცხო, დამპყრობელი ქვეყნიდან ელიან ჩვენი დისერტანტები მოწყალებას.

უფრო მეტიც. სამეცნიერო წოდებებსაც კვლავ მოსკოვი განსაზღვრავს. საქართველოში კითხულობ ლექციებს, აქ ასწავლი და დოცენტის თუ პროფესორის წოდება მოსკოვში უნდა მოგანიჭონ და დაგიმტკიცონ. ამის მიხედვით გენიშნება ხელფასიც, თანამდებობაც. სამსახურის მოპოვებისათვის ან შენარჩუნებისთვის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად სამეცნიერო წოდებაა საჭირო, რომელიც მოსკოვმა უნდა მოგცეს. კარგი იქნება თუ ხარისხი და წოდება მცირეს ექნებაო, რადგან კონკურენტი ნაკლები გვეყოლებაო. — ფიქრობს ზოგი და კვლავ ჩივილი. ერთმანეთის არდანდობა. კვლავ გადამთიელთან თანამოძმის გაწირვა და გამეტება, როდის უნდა მოეღოს ყოველივე ამას ბოლო?

უნივერსიტეტში იცავ იქვე მომზადებულ დისერტაციას, მაშინ იქვე დაგიმტკიცონ, თუ არ ენდობიან სპეციალიზებულ საბჭოს, მაშინ რატომ ვიცავთ ასეთ საბჭოზე, განა ეს თავად საბჭოს წევრებისთვისაც არაა დამამცირებელი და ღირსების შემლახავი?

1984 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზებულ საბჭოზე დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია პიროვნების თავისუფლების პრობლემაზე. არც თუ ცუდად დავიცავი, საბჭომ თითქმის ერთხმად მომანიჭა სამეცნიერო ხარისხი, მხოლოდ ორი იყო წინააღმდეგი. გარკვეული შრომა ჩავდე ამ ნაშრომში, გარკვეული წლებიც მივუძღვენი მას. პრობლემა მაინტერესებდა. თუმცა ბევრის ღიმილს იწვევდა მაშინ პიროვნების თავისუფლებაზე მუშაობა. სხვა თემა ვერ აიღეო? — მქირდავდნენ. მაინც დავიცავი. ის დღე ერთ-ერთი ბედნიერი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

მაგრამ შემდეგ რუსულად თარგმნა, საბუთების გაკეთება რუსულად და ისევ მოსკოვისკენ მზერა — როდის დამიმტკიცებენო. 1985 წლის მაისის ბოლოს დამიმტკიცეს კიდეც, მაგრამ ხელახალი საბუთების გაგზავნის შემდეგ. ალბათ, ვიღაცამ მეც მიჩივლა. მანამდე უხარისხოდ ვითვლებოდი. არადა ხომ შეიძლებოდა უნივერსიტეტს თავადვე დაემტკიცებინა სამეცნიერო ხარისხი. რადგან თბილისის უნივერსიტეტში დავიცავი, სპეციალიზებულ, ჩემი აზრით ძალზე კომპეტენტურ საბჭოზე, ამიტომ დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოვითხოვ მოცემული ხარისხი თბილისის უნივერსიტეტმა დამიმტკიცოს. ხოლო მოსკოვში დამტკიცებულ დიპლომზე უარს ვაცხადებ. იქნებ ასე მაინც დაიძრას ყინული.

ზურაბ ბაბნიძე.

გახსენება

არდავიწყების საღამო

საქართველოს სახალხო არტისტმა ირაკლი შუშანიამ დიდი კვალი დატოვა ქართულ საოპერო ხელოვნებაში. თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე გაისმოდა მისი ძლიერი, ლამაზი ხმა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენიდან. მომღერალმა შესანიშნავი ვოკალური და სცენური მონაცემების მეოხებით ბევრი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. ქართველ მუსიკის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, თუ რა შესანიშნავად ასრულებდა იგი მეფისტოფელის, ცანგალას, ლეპორელოს, ბორის გოდუნოვის რთულ პარტიებს.

მომღერალი ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ სცენის ნამდვილი ოსტატის და შესანიშნავი მოქალაქის ხსოვნა დღესაც ცოცხლობს მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში. სწორედ ამ ადამიანურმა გრძნობამ — არდავიწყებამ შეკრიბა ისინი ამ დღეებში ირაკლი შუშანიას ხსოვნის საღამოზე ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში.

პარაკლისი ირაკლი შუშანიას სულის მოსახსენებლად გადაიხადა ანჩისხატის მღვდელმა მამა რევაზმა ნაირა ნაჩხატაშვილის მგალობელთა გუნდის თანხლებით.

მოგონებებით გამოვიდნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის სოლისტები, საქართველოს სახალხო არტისტები რევაზ კაკაბაძე და ჯემალ მდივანი, საქართველოს დამსახურებული არტისტი გიორგი ბერიძე.

საღამოზე ეროვნული თეატრის ორკესტრის სოლისტებმა გიორგი ბერიძემ და დავით ჰუმბურიძემ შეასრულეს ვივალდის კონცერტი ორი ჰობოისათვის. მსმენელები მოხიბლა ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლის ნორჩ ფლეიტისტ დავით ოძელაშვილის და კონსერვატორიის სტუდენტის ვიოლონჩელისტ ელიზბარ მუჯირის გამოსვლებმა. ირაკლი შუშანიას შვილიშვილმა პატარა ნატომ ცხობილი პაპის ხსოვნისათვის ფორტეპიანოზე ლისტი-პეტრარკას სონეტი შეასრულა.

საღამოს უძღვებოდა პიანისტი ალექსი კვარაცხელია, რომელმაც შთაგონებით შეასრულა რახმანინოვის პრელუდია — ირაკლი შუშანიას საყვარელი ნაწარმოები.

თავიანთი პოეტური სტრიქონები გააცნეს შეკრებილთ ახალგაზრდა ლირიკოსებმა ნუგზარ ჩიკვაიძემ და ნინო ლონდარიძემ.

ხსოვნის საღამოს მონაწილეებმა კიდევ ერთხელ მოისმინეს დაუვიწყარი მეგობრის ირაკლი შუშანიას ხმა, ჩაწერილი მაგნიტოფირზე. აჟღერდა ფალიაშვილის, ბეთჰოვენის, როსინის, მუსორგსკის, ბალანჩივაძის, თაქთაქიშვილის ნაწარმოებები..

საქინფორმი.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფანჩაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკა